ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N30

ქ.თბილისი 22 სექტემბერი, 2023 წელი
14^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ აბაშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე
ლევან არველაძე
საბა ბუაძე
არჩილ გორდულაძე
შოთა გრიგოლია
ლევან დავითაშვილი
ნინო ვარდოსანიძე
მარიამ ზაქარიაშვილი
მიხეილ კაკაურიძე
ნინო კვიტაიშვილი
ცოტნე კობერიძე
კახაბერ ლაბუჩიძე
ირაკლი ნადირაძე
გიორგი ონიანი
ლევან ჟორჟოლიანი
რევაზ სოხაძე
გიორგი შარაშიძე
გივი ჩხარტიშვილი
ნინო წულაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ბარბარა ჯიმელი სულაშვილი
აკაკი ალადაშვილი
ვლადიმერ ბოჟაძე
ანა გოგოლაძე
ოთარ გრიგოლია
მამუკა გუგეშაშვილი
ირაკლი ეძგვერაძე
კონსტანტინე ზარნაძე
ანა კაკაბაძე
ნიკოლოზ კახეთელიძე
სალომე კობალაძე
ზვიად კუპრავა
ლილე ლიპარტელიანი
შალვა ოგბაიძე
გურამ ოქროპირიძე
ნინო რუხაძე
ვახტანგ სურგულაძე
ზურაბ ჩიკვილაძე
ავთანდილ ცინცაძე
ირაკლი ხელაძე
ლევან ჯაფარიძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი თამარ გოგიტიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორი გიორგი კობიაშვილი.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა.

კონსტანტინე ზარნაძემ განაცხადა, რომ რამდენიმე დღის წინ, უსაფრთხოების სამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ კონკრეტული პოლიტიკური ძალების მხრიდან იგეგმება დესტაბილიზაციის და არეულობის მოწყობა და საკრებულოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ გუშინ, სხვადასხვა პოლიტიკური ძალების აქტივისტებმა მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და მის მანქანას დააკრეს ე.წ. „სტიკერები", რომლებზეც ეწერა სალანძღავი სიტყვები. მისი თქმით, აღნიშნული არის სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირება და მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს: „ამისკენ მიდიხართ რომ ქვეყანა არეულობისკენ მიიყვანოთ? სამოქალაქო დაპირისპირება გინდათ მიიღოთ? ეს არის თქვენი მიმართულება?" განაცხადა, რომ გასაგებია, თუ რა მიმართულებით აპირებს ოპოზიცია საარჩევნო დღემდე მისვლას და კიდევ ერთხელ მიმართა მათ: „ცეცხლს ეთამაშებით... განცდა გამიჩნდა, რომ იმ წლებში შეიძლება დავბრუნდეთ თქვენი მოქმედებებით, რომელი წლებიც ამ ქვეყანამ უკვე გამოიარა... სამოქალაქო დაპირისპირებაზე მაქვს ლაპარაკი... აქეთკენ მიდიხართ თქვენ".

ავთანდილ ცინცაძე გამოეხმაურა კონსტანტინე ზარნაძის მიერ გაჟღერებულ ფაქტს და მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს: „ძალიან კარგად ვიცით, უსაფრთხოების განცხადებაზე „სირაქლემას პოზაში რომ გიწევთ ყოფნა" და ვითომ ეს არ მიიღეთ რეალურად, თუმცა, რეალურად ამის განხორციელება დაიწყეთ და აგერ არის ფაქტი".

ზვიად კუპრავამ განაცხადა, რომ სურს მიმართოს საქართველოს გენერალურ პროკურორს: „ბატონო ირაკლი, თქვენ ხართ, პირველ რიგში, საქართველოს გენერალური პროკურორი და შემდეგ ფარცხალაძის მეგობარი, ნათესავი თუ ა.შ., რა ურთიერთობაც მასთან გაკავშირებთ. ჩემი ინფორმაციით, უსაფრთხოების სამსახურში გადმოგზავნილია მტკიცებულებები ფარცხალაძის ჯაშუშობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, თქვენ გაქვთ ვალდებულება, ბრალი წაუყენოთ ჯაშუშობის ბრალდებით ოთარ ფარცხალაძეს. თუ თქვენ ამის შესაძლებლობა, შინაგანი უნარი, არ გაგაჩნიათ, ასეთ შემთხვევაში, მოიქეცით ისე, როგორც ეს გააკეთეთ 2018 წელს და გადადექით დაკავებული თანამდებობიდან". ზვიად კუპრავამ ასევე, მიმართა ბიძინა ივანიშვილს: „ბატონო ბიძინა, თქვენ სუსი გატყუებთ როდესაც გეუბნებათ, რომ რაღაც რევოლუციები და ა.შ. იგეგმება ქვეყანაში და ამისთვის არის გარკვეული სამზადისი - ეს არის სიცრუე და თქვენ ამას გატყუებენ შეგნებულად, რომ თქვენი ყურადღება გადატანილი იქნას ალბათ სხვაგან, ცალკე მიმართულებით. სინამდვილეში, თქვენ, რომელიმე ქვეყნის სპეცსამსახურები დაგახურავენ ტომარას თავზე და მსოფლიოს რომელიმე ციხეში მოგათავსებენ და ამ საქმეს გააკეთებს ის, ვინც ეს საქმე ყველაზე კარგად იცის. ამიტომ, დააკავეთ, დაიჭირეთ ოთარ ფარცხალაძე და გადაირჩინეთ საკუთარი თავი".

ნინო წულაძემ მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „ძალიან კი გქონდათ მცდელობა, დღევანდელი სხდომა ეროვნული ბანკის საქმით არ დაწყებულიყო და რეალურად არცერთ ოპოზიციის წარმომადგენელს ფარცხალაძე არ გვეხსენებინა და ინსტიტუციური დამოუკიდებლობის ფეხქვეშ გათელვის მაგალითებზე არ გვესაუბრა, თუმცა, სამწუხაროდ, ეს არ მოხდება. მოქალაქეებს ამ ტრიბუნიდანაც, პარტია „ხალხისთვის" სახელით, გვინდა მივაწოდოთ ინფორმაცია - ქართული ოცნების გუნდი, კერძოდ, ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ფარცხალაძეს არის ამოფარებული, ცდილობს მარიონეტივით მართოს ეროვნული ბანკი და რეალურად იღებს ანტიდასავლურ გადაწყვეტილებას, რომლითაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება აწ უკვე კანდიდატის სტატუსის მიღების პროცესი". მისი თქმით, ეროვნულმა ბანკმა, აბსურდული არგუმენტებით დაარღვია საერთაშორისო სანქციები და შეიძლება ითქვას, რომ „კი არ დაარღვია, დაარღვევინეს, „ვითომ კონსტიტუციონალისტი" ირაკლი კობახიძის მოწოდებით, რითიც მთლიანად დაირღვა ეროვნული ბანკის, როგორც ინსტიტუციის დამოუკიდებლობა". ნინო წულაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს უმრავლესობის წევრები საუბრობენ სამოქალაქო დაპირისპირებაზე, ეროვნულ უსაფრთხოებაზე და ამ დროს, ძალიან მნიშვნელოვანია დავსვათ კითხვა - მაშინ, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები

ფარცხალაძეზე ამბობს, რომ არის ფსბ-ს აგენტი, რომელსაც პირდაპირი გავლენა აქვს საქართველოს პოლიტიკურ პროცესებზე, რატომ არაფერს აკეთებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური? ნინო წულაძის თქმით, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ კონკრეტული პირის დასანქცირება არ არის პირველი შემთხვევა, თუმცა, „ქართული ოცნების“ გუნდის გარდა, არცერთ სხვა განვითარებულ ქვეყანას არ დაუსვამს კითხვა „რითი ადასტურებთო“. განაცხადა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ის ეკონომიკური არასტაბილურობა, რომელიც ეროვნულმა ბანკმა შეუქმნა საქართველოს მოქალაქეებს, რადგან, რეალურად, საქართველოს მოქალაქეების ჯიბიდან ოცი მილიონი დოლარი დაიხარჯა იმისთვის, რომ შენარჩუნებულიყო გაუფასურებული ლარი. საუბრის ბოლოს, სხდომაზე წარადგინა „ქართული ოცნების“ პარტიის წევრების გამოსახულებიანი რუსული რუბლები და კიდევ ერთხელ მიმართა საკრებულოს უმრავლესობას: „ეს არის თქვენი საყვარელი ირაკლი კობახიძე, ირაკლი ღარიბაშვილი, ეს არის კოლექტიური რუბლები. „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ხართ კოლექტიური რუბლები, რომლებმაც რუბლებზე გაყიდეთ ეროვნული უსაფრთხოება და შეუქმენით საფრთხე საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას“.

თინათინ ნიბლოშვილმა მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს: „სხდომამდე პერფორმანსებისთვის ემზადებით და ეს რომ ცირკი არ არის, ალბათ მაშინ უნდა გეფიქრათ ამაზე, როდესაც სიებში ეწერებოდით საკრებულოში მოსახვედრად.“ გაიხსენა თბილისში, რამდენიმე კვირის წინ, მოსული უხვი ნალექი, რამაც დააზიანა რამდენიმე უბანი და განაცხადა, რომ მაშინ, როდესაც „თბილსერვის ჯგუფის“ 5127 თანამშრომელი, ქალაქის მერი, ყველა გამგებელი და მაჟორიტარი დეპუტატი იყო ქუჩაში და ეხმარებოდნენ ხალხს, ოპოზიციის წარმომადგენლები გლდანის მეტროს მიმდებარე ტერიტორიიდან რთავდნენ „ლაივებს“ და „თბილსერვის ჯგუფის“ თანამშრომლებს აყენებდნენ შეურაცხყოფას, რომ თურმე ისინი არაფერს აკეთებენ ჩვენი ქალაქისთვის. საუბრის ბოლოს, თინათინ ნიბლოშვილმა მიმართა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს: „სოფო ჯაფარიძემ რომ მოიარა მთელი საქართველო და მიხეილ სააკაშვილს ასობით, ათასობით და ათიათასობით მხარდამჭერის წერილი შეუტანა საავადმყოფოში, რატომ ვერ მოიყვანეთ 20 სექტემბრის აქციაზე 22 კაცზე მეტი ადამიანი? მე გეტყვით რატომ ვერ მოიყვანეთ - იმიტომ, რომ გეზიზღებათ ეს ქვეყანა, გეზიზღებათ ეს ქალაქი და ერთი სული გაქვთ, რომ ჩვენმა ქვეყანამ ვერ მიიღოს კანდიდატის სტატუსი. რა განცხადებებსაც თქვენი ლიდერები აკეთებდნენ, მგონი, ამით ყველაფერი ნათქვამია და დღეს აქ რაც არ უნდა გააჟღეროთ, რაც არ უნდა ისაუბროთ, თქვენი სახე ყველასთვის ნათელია. მე მოგიწოდებთ - საერთოდ ნურაფერს ნუ იტყვით საქართველოს კურსზე და განსაკუთრებით ხაზს ნუ გაუსვამთ იმას, რომ ვინმეს ამ კურსის გადახვევა უნდა. ერთადერთი ძალა, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ როგორმე, ქვეყანაში მშვიდობა არ იყოს, ხართ თქვენ“.

ნინო კვიტაიშვილმა განაცხადა, რომ სრულიად გასაგებია ის „სპეცეფექტები და ისტერია“, რომელსაც ადგილი აქვს „ქართული ოცნების“ წარმომადგენლობის მხრიდან, რადგან ძალიან რთულია, გადადგა სწორი ნაბიჯები, როდესაც თავზე გკიდია „დამოკლეს მახვილი“ და მიმართა „ქართული ოცნების“ წევრებს: „თქვენ გუნდში, მამები თურმე იმდენს მუშაობდნენ, რომ შეუძლიათ ჩარტერული რეისების და ბევრი რამის დაფინანსება და ჩვენ, „მუქთახორა მამების შვილები“ რომ გვიწოდა თქვენი გუნდის ლიდერმა, „იმ მუქთახორა მამების შვილებს“ გვაქვს ძალიან ბევრი კითხვა და გვაინტერესებს, ხართ თუ არა თქვენ, ვინც ამ დარბაზში სხედხართ, პოლიტიკური პასუხისმგებლობის მქონე პირები თუ მართლა უბრალოდ „მიწის ამზომველებად“ მუშაობთ? მაინტერესებს, ასევე, იზიარებთ თუ არა, რომ გზა „ბოტასის ქურდობიდან ფსბ-შნიკობამდე“ არის სწორი და პირიქით, ცუდი გზაა ილიას გზა?.. რომელ გზას ირჩევთ?.. არჩევანი არსებობს ყოველთვის და ეს არჩევანი დგას ახლა თქვენი გუნდის თითოეული წევრისთვის და ყოველი თქვენგანი ნამდვილად არ მემეტება „დამოკლეს მახვილისთვის“. როგორც არ უნდა გეშინოდეთ იმ „დიდი ძმის“, როგორც არ უნდა გიყურებდეთ ის, მონობა თავისუფლება არ არის“.

ვლადიმერ ბოჟაძემ განაცხადა, რომ სუსის განცხადებიდან მეხუთე დღეს, საკრებულოს სხდომათა დარბაზში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ადასტურებენ, რომ

იქნება „არეულობა და უარესი ამბავი“ და შემთხვევითი არ იყო ის, რაც პარლამენტში მოხდა, როდესაც „პერფორმანსი დადგეს“ და „სამარცხვინოდ“ მოიქცნენ. ვლადიმერ ბოჟაძე გამოეხმაურა ეროვნულ ბანკთან დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარს და მიმართა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს: „ამ ქვეყანაში არეულობის, უბედურების და ვარდების რევოლუციის კი არა, სისხლიანი რევოლუციის ნაწილია ის, რაც თქვენი დავალებით ერთ-ერთმა ვიცე-პრეზიდენტმა გააკეთა და ის, რაც მერე დანარჩენმა ვიცე-პრეზიდენტებმა გააკეთეს.“. განაცხადა, რომ ეგონა ზვიად კუპრავა ოთარ ფარცხალაძისთვის საქართველოს მოქალაქეების გაუქმების თხოვნით მიმართავდა სალომე ზურაბიშვილს, რომელსაც მოიხსენიებდნენ, როგორც „რუსეთის აგენტს, რეზიდენტს“ და ა.შ., სწორედ იმიტომ, რომ აღსრულდეს ის სანქციები, რომელიც არსებობს მასთან მიმართებაში, თუმცა, რატომღაც, საქართველოს პრეზიდენტი ხელს არ აწერს აღნიშნულს და ამას არ აპროტესტებს „ნაციონალური მოძრაობა“. მისი თქმით, სალომე ზურაბიშვილის გამარჯვებაში „ქართული ოცნების“ გუნდის წევრებს დიდი წვლილი მიუძღვით, თუმცა, მათ არ აქვთ პრობლემა თავისსავე არჩეულს მოუწყონ იმპიჩმენტის პროცედურა იმის გამო, რომ პრეზიდენტმა დაარღვია კონსტიტუცია, ხოლო ოპოზიცია, რომელიც მას ლანძღავდა და შეურაცხყოფას აყენებდა, ახლა პრეზიდენტის იმპიჩმენტს მხარს არ უჭერს. საუბრის ბოლოს განაცხადა, რომ ის, რასაც დღეს ოპოზიცია საკრებულოში აკეთებს და ის, რაც გუშინწინ პარლამენტში მოხდა, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ უსაფრთხოების სამსახურის მიერ გაჟღერებული ინფორმაცია არის სიმართლე, რისი მცდელობაც 2012 წლის შემდეგ არაერთხელ ჰქონდა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“. მათმა დღევანდელმა საქციელმა კიდევ ერთხელ დაარწმუნა მოსახლეობა, რომ არსებობს არეულობის, გადატრიალების და რევოლუციის გეგმა, თუმცა, ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ეს არ იქნება „ვარდების რევოლუცია“, ეს იქნება „სისხლიანი რევოლუცია“, სამოქალაქო დაპირისპირება, პოლარიზაციის გაღრმავება და 1990-იან წლებში საქართველოს დაბრუნება. მაგრამ, დღევანდელი ხელისუფლება მათ ამის უფლებას არ მისცემს.

ირაკლი ეძგვერაძის თქმით, „ქართული ოცნება“ 11 წელია ამბობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენი მეგობარი ქვეყანა და სტრატეგიული პარტნიორია. ყველამ ვიცით, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ძლიერი ქვეყანაა თავისი დაზვერვით და უშიშროებით. თუმცა, როდესაც შენი სტრატეგიული პარტნიორი გეუბნება, რომ კონკრეტული პიროვნება, ამ შემთხვევაში ოთარ ფარცხალაძე, არის ჯაშუში, ეხმარება რუსეთს თავისი ინტერესების გატარებაში საქართველოში, ვხედავთ, რომ „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსნები გამოდიან და მტკიცებულებას ითხოვენ. ირაკლი ეძგვერაძემ გაიხსენა ლავროვის შვილის ვიზიტი საქართველოში და განაცხადა, რომ მან, როგორც ერთმა რიგითმა მოქალაქემ, როდესაც შეიტყო, რომ მისი ქვეყნის „დაუძინებელი მტრის“ შვილი, იმყოფებოდა ყვარელში, ღამის 2 საათზე ჩავიდა იქ და აპროტესტებდა ამ ფაქტს, რისთვისაც დაიჭირეს და მიუხედავად იმისა, რომ ერთმა კონკრეტულმა მოსამართლემ გაამართლა, რადგან ვერ დაინახა ვერცერთი გარემოება, სადაც შეიძლებოდა ყოფილიყო კანონდარღვევა, მოსამართლის გადაწყვეტილება გაასაჩივრეს სააპელაციო სასამართლოში და 2000 ლარით დააჯარიმეს. ამის პარალელურად, დღევანდელი ხელისუფლება, ოთარ ფარცხალაძეს აკეთებინებს ტრანზაქციებს, აძლევს საშუალებას ქონება გადაუფორმოს თავის შვილს და ამის მერე იწყებს „ვითომ გამოძიებას“, რაც, მისი თქმით, არის ორმაგი სტანდარტი. ირაკლი ეძგვერაძე გამოეხმაურა არეულობასა და დესტაბილიზაციაზე გაკეთებულ კომენტარებს და განაცხადა, რომ ფიქრობს, დარბაზში მსხდომთაგან ბევრს არ სურს რუსეთში ცხოვრება და არც ის, რომ მათმა შვილებმა იცხოვრონ რუსეთში და სწორედ ამიტომ ეს ადამიანები ამ ფაქტებს უნდა გაემიჯნონ. ასევე, გამოეხმაურა დაპირისპირებასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „მე, ჩემ კისერზე გადავიტანე სამი წლის განმავლობაში... ჩემმა ოჯახმა, ჩემმა მეგობრებმა... ვინც თქვენსკენ არ იყო გლდანის რაიონში, ზოგს იარაღი ჩაუდეთ, ზოგს წამალი ჩაუდეთ...“ ირაკლი ეძგვერაძის სიტყვებმა გამოიწვია კონსტანტინე ზარნაძის გაღიზიანება, რასაც მათ შორის ურთიერთშელაპარაკება და დაპირისპირება მოჰყვა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ საკრებულოს სხდომაზე გამოაცხადა თხუთმეტწუთიანი შესვენება, რის შემდეგაც რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს ოცდაშვიდმა წევრმა.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ დღევანდელი მდგომარეობით, ფარცხალაძე არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი კრიმინალი, კორუფციული სქემების დამტრიალებელი და არა მხოლოდ საქართველოში არსებული კრიმინალის, არამედ რუსეთის სპეცსამსახურების მოკავშირე, რაც დაადასტურა ჩვენმა მთავარმა სტრატეგიულმა პარტნიორმა, როდესაც დაასანქცირა ეს ადამიანი. საბა ბუაძემ განაცხადა, რომ სურს საზოგადოებას გაახსენოს, ვინ არის ოთარ ფარცხალაძე, რომელმაც თავისი კრიმინალური საქმიანობა დაიწყო თბილისის მუნიციპალიტეტის ხარჯზე, როდესაც ორი მილიონით მეტი გადაუხადეს მიწის ნაკვეთში, რომელიც ღირდა 600000 ლარი და ამას ადასტურებს აუდიტის სამსახურის დასკვნაც, თუმცა ეს „ზღვაში წვეთია" იმ კრიმინალის ფონზე, რა მასშტაბებსაც მან მიაღწია. მისი თქმით, დღეს, ეს ადამიანი არის რუსეთის გამოცხადებული აგენტი, საქართველოს ევროპული პერსპექტივისთვის, განვითარებისთვის, კეთილდღეობისთვის და ჩვენი შვილების მომავლისთვის „ძირის გამომთხრელი". ის, რომ ხელისუფლება მასთან არის „გადაჯაჭვული", დაადასტურა მმართველი პარტიის თავმჯდომარემ და ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, რომელმაც, მის გამო, ჩამოშალა ეროვნული ბანკი, რომელიც შენდებოდა ყველა ხელისუფლების, მათ შორის, ამ ხელისუფლების დროს და ეს გააკეთა სისტემის შენარჩუნებისთვის და იმისთვის, რომ თავისი ამომრჩევლისთვის ეთქვა, რომ „ყველაფერი კარგად არის და არანაირი სანქციები არ შეგვეხება." საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ დღეს, ოთარ ფარცხალაძე უნდა იყოს ციხეში, თუმცა, ამის ნაცვლად, დადის საჯარო რეესტრში და კუთვნილ ქონებას უფორმებს სხვა ადამიანებს და ამის პარალელურად, სახელმწიფო სამსახური გველაპარაკება იმაზე, რომ „ვიღაცას, თურმე, ამ ქვეყანაში უნდა დესტაბილიზაციის მოწყობა".

გივი ჩხარტიშვილმა განაცხადა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გაჟღერებული ინფორმაციის შემდეგ, საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა თუ რა მზაკვრული გეგმები აქვს ოპოზიციას, რომელსაც „კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა" უწოდა. ისაუბრა საქართველოში გავრილოვის ვიზიტზე და განაცხადა, რომ „ყველას კარგად გვახსოვს, გავრილოვი როგორ ჩასვეს პარლამენტის თავმჯდომარის სკამში ამ ადამიანებმა, კარგად ვიცით, თუ რა შემოქმედებით მოდიან და რით უნდათ დაიწერონ პოლიტიკური ქულები და საზოგადოება შეცდომაში შეიყვანონ". ეცადნენ აერიათ ქვეყანა და რევოლუციის გზით მოსულიყვნენ ხელისუფლებაში, თუმცა, არ გამოუვიდათ. მისი თქმით, ყველას კარგად გვახსოვს ასევე, თუ რა მოხდა ე.წ. „რუსული კანონის მიღების პროცესში", რომელსაც ასეთი სახელი აქვს შერქმეული, თუმცა, ეს კანონი მოქმედებს ამერიკის შეერთებულ შტატებში. აქედან გამომდინარე, ამ ადამიანებს, როცა უნდათ, ამერიკა სტრატეგიული პარტნიორია, ხოლო როცა არ უნდათ, არ არის. საუბრის ბოლოს, გივი ჩხარტიშვილმა განაცხადა, რომ დღეს, ეს ადამიანები ცდილობენ საზოგადოებაში დათესონ განცდა, თითქოს „საქართველო თავზე გვეშლება", თუმცა, საზოგადოება ყველაფერს კარგად ხედავს და მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს: „თქვენს მოღვაწეობას პოლიტიკაში აზრი არ აქვს".

ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა განაცხადა, რომ ქვეყანაში და ამ ქალაქში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ძალიან ბევრი კითხვა გვესმის ჩვენი შვილებისგან, მათ შორის გვეკითხებიან უსაფრთხოებაზე - რატომ გარდაიცვალნენ მათი თანატოლები თუნდაც შოვში ან ვერეს ხეობაში და რატომ არ არის დაცული უსაფრთხოების ზომები. დაინტერესდა, რა ვუპასუხოთ მათ ამ კითხვაზე? რა ვუპასუხოთ, როდესაც გვეკითხებიან ეროვნულ უსაფრთხოებაზე და ათი წელია ერთი რუსი ჯაშუში ვერ გამოავლინეს? როდესაც ჩვენ ვეუბნებით შვილებს, რომ დაიცვან კანონის მოთხოვნები და ამის პარალელურად ვხედავთ, რომ არაუფლებამოსილი პირები დადიან ავტობუსის ზოლში, ხოლო კონკრეტული ადამიანები თავის შვილებს ასეირნებენ ცალკე თვითმფრინავით, რა ვუთხრათ ასეთ დროს? განაცხადა, რომ ამ კითხვებზე პასუხი არ აქვს და არც ხელისუფლების წარმომადგენლებისგან მოუსმენია და მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „რა ვუთხრა მომავალ თაობას,

რომელსაც უნდა ევროპაში ცხოვრება, რომელსაც უნდა დალაგებულ ქვეყანაში ცხოვრება? პასუხი არ გვაქვს". ბარბარა ჯიმელი სულაშვილი ასევე, გამოეხმაურა გადატრიალების სცენარებისა და დესტაბილიზაციის მცდელობებთან დაკავშირებით გაჟღერებულ კომენტარებს და განაცხადა, რომ ამ დღეებში, ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც კვლავ და კვლავ საუბრობს გადატრიალებაზე და დესტაბილიზაციაზე, არის „ქართული ოცნება" და კიდევ ერთხელ მიმართა საკრებულოს უმრავლესობას: „მინდა შეგახსენოთ, რომ ხალხს აქვს ლეგიტიმური უფლება, არჩევნების გზით გადააყენოს ის ხელისუფლება, რომელიც აღარ ასრულებს ხალხის დაკვეთას, მაგრამ როგორ ვუთხრათ ჩვენ შვილებს, რომ არჩევნების გზით წავიდეთ, როდესაც ვიცით რა მოხდა 2020 და 2021 წლებში".

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა თბილისის მერის მიერ, მთავრობის სხდომაზე, გაჟღერებულ ინიციატივებზე, რომელთაგან ერთ-ერთი არის გაფანტული სკლეროზის მკურნალობის პროგრამა და საკრებულოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, თბილისში რეგისტრირებულ მოქალაქეებს დაუფინანსდებათ როგორც კვლევების ჩატარება, ასევე, მკურნალობის ეტაპი. ამასთანავე, საკრებულოს წინა სხდომაზე, დამტკიცდა ახალი პროგრამა სახსრების ენდოპროტეზირების შესახებ, რომლის თანახმად, თბილისის მოსახლეობას სრულად დაუფინანსდება საკმაოდ ძვირადღირებული ოპერაცია. მისი თქმით, ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური მიმართულებები დარჩეს პრიორიტეტებად და მუნიციპალიტეტმა ამ მიმართულებებით გაიღოს თანხები მანამ, სანამ ჩვენს მოქალაქეებს ექნებათ საჭიროება. ნინო ვარდოსანიძემ ასევე, ისაუბრა პოლიტიკაში ქალების ჩართულობაზე და განაცხადა, რომ აღნიშნული მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქალებისთვის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი გააქტიურებისთვის, არამედ პოლიტიკაში გარემოს გაჯანსაღებისთვისაც, თუმცა, ის სურათი, რომელიც საზოგადოებისთვის ჩანს, ბევრი ქალისთვის არ იძლევა მოტივაციას, რომ ნაბიჯი გადადგას ამ მიმართულებით. აქვე აღნიშნა, რომ მართალია, ამ კუთხით, თბილისის საკრებულოში, მეტ-ნაკლებად უკეთესი სტანდარტია, თუმცა, ალბათ არავის, მით უფრო ქალს, არ ექნება სურვილი, საკუთარი თავი დაინახოს იქ, სადაც არის შეურაცხყოფა, ურთიერთუპატივცემულობა და აგრესია, რაც არ შეიძლება, გამართლდეს პოლიტიკის სახელით, რადგან, პირიქით, პოლიტიკა არის „ალბათ ყველაზე შიშველი სფერო", სადაც ამომრჩეველი ხედავს, თუ როგორ შეიძლება იმოქმედოს, რაც, რა თქმა უნდა, თავის გავლენას ახდენს საზოგადოების ქცევაზეც. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ისურვებდა, ყველა ქალმა, ვინც არის პოლიტიკაში იმუშაოს და გაიღოს ძალისხმევა სხვა ქალების გაძლიერებისთვის და რეალურად შეუწყონ ხელი მათ პოლიტიკაში ჩართვას.

გიორგი შარაშიძე გამოეხმაურა საკრებულოს სხდომაზე მომხდარ ინციდენტს და განაცხადა, რომ ამ ყველაფერს არანაირი კავშირი არ აქვს საქართველოს მომავალთან, ეს ყველაფერი ემსახურება საქართველოს წარსულში დაბრუნების მიზანს და მიმართა „ქართული ოცნების" და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებს: „ამ ყველაფერში, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ერთი მხარე უფრო ცუდი იყოს, ვიდრე მეორე, მაინც ორივეს პასუხისმგებლობა თანაბრად იქნება გაზიარებული და ამას ჩვენი ამომრჩეველი - საქართველოს მოქალაქე, უახლოეს არჩევნებზე, საკადრის პასუხს გასცემს". მან აქვე, მიმართა „ქართული ოცნების წარმომადგენლებს: „თუ არ გსიამოვნებთ „ნაციონალების" ასეთი საქციელი, მაშინ, ნუ გააძლიერებთ მათ და გადაეცით თქვენი პარტიის თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი კობახიძეს, რომელიც რეგიონებში დადის, რომ „ოცნების" და „ნაციონალური მოძრაობის" საარჩევნო კამპანიას ერთდროულად ატარებს, რადგან ამბობს, რომ თურმე, ერთადერთი კონკურენტული და რეალური ოპოზიციური ძალა ამ ქვეყანაში „ნაციონალური მოძრაობაა". შემთხვევით ხომ არ დაფიქრებულხართ იმაზე, რომ სწორედ კობახიძის მიერ გაკეთებული ასეთი განცხადებებით არიან შეგულიანებული თქვენი კოლეგები, თუნდაც ამ დარბაზში? მოგიწოდებთ, დაფიქრდეთ". გიორგი შარაშიძემ ისაუბრა ქვეყანაში, ბოლო დღეებში, განვითარებულ მოვლენებზე და განაცხადა, რომ ძალიან ცუდი, მავნე და საშიში შედეგები გამოიღო ეროვნული ბანკის და სახელმწიფო სისტემის გადაწყვეტილებამ, რომლებმაც ორი დღის განმავლობაში, ორკესტრირებულად და ორგანიზებულად იმუშავეს

„კორუმპირებული რუსი ოლიგარქის“ ინტერესებისა და კორუფციის გზით დაგროვებული ქონების დასაცავად. თუმცა, მთავარი ეს არ არის, მთავარი არის ის, რომ ქალბატონი ნათელა თურნავას ბრძანება, რომელსაც სამართლიანად ვუწოდებთ „რუსულ ბრძანებას“, გაცილებით დიდი საფრთხის შემცველია ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობისთვის და ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის, რადგან პირდაპირ ემსახურება რუსეთის ინტერესებს იმისათვის, რომ მოხდეს საქართველოს რეალური იზოლაცია საერთაშორისო ეკონომიკური და საფინანსო სისტემიდან. მისი თქმით, დღეს, საკრებულოს წევრები, უნდა საუბრობდნენ იმაზე, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი უკვე განიხილავს საქართველოსთან თანამშრომლობის ფორმატის ცვლილებას, რაც ძალიან დამაზიანებელი და სარისკო იქნება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის. ასევე, უნდა საუბრობდნენ იმაზე, რომ ეროვნული ბანკის მიერ, ორი დღის განმავლობაში, 57000000 დოლარის გაყიდვის მიუხედავად, ლარი განაგრძობს გაუფასურებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს აისახება ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობაზე. გიორგი შარაშიძემ ასევე, ისაუბრა სანქცირებული რუსული კომპანია „კამაზისგან“ ტექნიკის შეძენაზე, რაც მისი თქმით, იყო დაუშვებელი, რადგან ეს არის იმის დამადასტურებელი ფაქტი, თუ როგორ ხდება თანამშრომლობა რუსულ, სანქცირებულ, კომპანიებთან, რაც ნიშნავს ქართული ფულით რუსეთის პირდაპირი თუ ირიბი გზით გაძლიერებას. საუბრის ბოლოს, გიორგი შარაშიძემ განაცხადა, რომ სურს დააფიქსიროს მათი გუნდის პოზიცია, რომელიც, რა თქმა უნდა, არ ემხრობა ქუჩის აქციებს და ზედმეტ არეულობას, მთავარი მოთხოვნა იყო და არის ნათელა თურნავას „რუსული ბრძანების გაუქმება“ და დღეს თუ რამეზე უნდა საუბრობდნენ და ითხოვდნენ ოპოზიციაც და უმრავლესობაც, პირველ რიგში, ეს უნდა იყოს ამ ბრძანების გაუქმება, რადგან ის შეიცავს საფრთხეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის, მომავლისთვის და პირდაპირ უკავშირდება ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობას.

შალვა ოგბაიძე გამოეხმაურა ბარბარა ჯიმელი სულაშვილის გამოსვლას, რომელმაც ისაუბრა პასუხგაუცემელ კითხვებზე და განაცხადა, რომ გრძელია იმ კითხვების ჩამონათვალი, რომლებიც სურს დაუსვას წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს, მათ შორის: „რატომ წაიღეს საქართველოს მიწა და დროშა ჩემი 6 და 8 წლის შვილიშვილებმა 2011 წელს, რატომ გაიხიზნენ საზღვარგარეთ?.. თუ დამისახელებს ვინ არის ფინანსური პოლიციის უფროსი საქართველოში?.. რატომ ცხოვრობს პოლიციელი ჩემი შვილის და ჩემი რძლის ბინაში?.. რატომ არის გასხვისებული რუსთავის ავტოდრომი? რატომ აწამეს ჩემი შვილები, იმის გამო რომ შალვა ოგბაიძის შვილები არიან?“ განაცხადა, რომ კითხვების ჩამონათვალი გრძელია, თუმცა, თავს არიდებს მათ დასმას, რადგან ეს ხელს არ უწყობს პოლარიზაციის შემცირებას და მიმართა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს: „თქვენც გადმოდგით შემხვედრი ნაბიჯი, პოლარიზაციის შემცირება იქნება მხოლოდ და მხლოდ ამ მეთოდით - რაც გვაერთიანებს, იმაზე საუბრით“.

ოთარ გრიგოლია გამოეხმაურა სხდომათა დარბაზში მომხდარ ინციდენტს და განაცხადა, რომ „ყველამ უნდა გავითავისოთ, რომ თბილისის საკრებულო არ არის ქუჩა და აქ არ მოქმედებს ქუჩის კანონები. ეს არის პოლიტიკა, ეს არის დედაქალაქი და ეს არის ისტორიული შენობა, ისტორიული ინსტიტუცია, რომელსაც პატივი უნდა სცეს თითოეულმა მისმა წევრმა“. განაცხადა, რომ „ძალიან მნიშვნელოვანია ყველას გვესმოდეს, რომ საქართველოს კონსტიტუცია არ არის ფარატინა ფურცელი. რატომღაც, ამ ბოლო დროს, ძალიან აგდებულად უყურებენ საქართველოს კონსტიტუციას, დაწყებული პრეზიდენტით, დამთავრებული ოპოზიციით. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, არ აქვს მნიშვნელობა რა და როგორ, საქართველოს აქვს ისეთი კონსტიტუაცია, რომელიც აქვს, რომელიც უნდა დაიცვას საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ და პირველ რიგში, ინსტიტუტებმა, რომლებიც არიან გარანტორები ამ კონსტიტუციის“. მისი თქმით, როდესაც საქართველოს მოქალაქის მიმართ, არ აქვს მნიშვნელობა სანქცირებულია ის თუ არა, ვიღებთ გადაწყვეტილებას, რომ უნდა შეჩერდეს მისი ეკონომიკური და სხვა ტიპის საქმიანობა, აუცილებელია, სახელმწიფო იდგეს თავის ადგილას და ამიტომ, ყველა ინსტიტუტი ვალდებულია, მოექცეს კონსტიტუციის ფარგლებში. საუბრის ბოლოს, ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ დღეს, საკრებულოში, ვნახეთ ის ვნებათა ღელვა, რაც არის ოპოზიციის დღის წესრიგი და მიმართა მათ: „იცით რატომ

არსებობს საზოგადოებაში ისეთი განწყობა, რომ თქვენ რევოლუციური სცენარი გინდათ? იმიტომ, რომ თქვენი ლიდერები არიან: კეზერაშვილი, რომელიც არის „ბიუჯეტის ქურდი“ და რომელმაც საქართველოს არმიის და ჯარის ხარჯზე იშოვა ფული; თქვენი ლიდერი არის ვანო მერაბიშვილი, რომელიც არის მანიაკი და რომელსაც ბრალი აქვს ადამიანების მკვლელობაში, პირდაპირ არა, ირიბად, და ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში, რომელიც ადამიანებს აწამებდა, კლავდა და ა.შ.; თქვენი ლიდერი არის გიორგი ვაშაძე, კარიკატურული ფიგურა, რომელსაც არანაირი პერსპექტივა პოლიტიკაში, გარდა იმისა, რომ რაღაც რევოლუციური და არეულობის სცენარი შემოიტანოს, არ აქვს; ხაბეიშვილზე აღარ ვლაპარაკობ, ძალიან კარიკატურული ფიგურაა ისიც და, თავისთავად ცხადია, არავის არ სჯერა, რომ თქვენი ლიდერი ის არის. აქედან გამომდინარე, ქალბატონებო და ბატონებო, საუბარი იმაზე კი არ არის, ჩვენ რას ვფიქრობთ, ქართველი ხალხი ფიქრობს, რომ თქვენ ხართ ამრევები და ამის საშუალებას, ხალხი არ მოგცემთ“.

ლევან არველაძემ მიმართა საკრებულოს წევრებს: „მეგობრებო, დღეს რა განცხადებებიც გაკეთდა ეროვნული ბანკის მიმართ, ეს არ შეიძლება. ეს არის მთავარი საფინანსო ინსტიტუტი, რომელიც არის ძალიან სენსიტიური და ნებისმიერი მსგავსი განცხადება, რომ თითქოს ეროვნული ბანკი ჩამოიშალა, დაინგრა და მან მიიღო „რუსული კანონი“, მოქმედებს ეკონომიკაზე, საფინანსო ინსტიტუტზე და ძალიან გთხოვთ, რომ მსგავსი განცხადებები არ გავაკეთოთ იმიტომ, რომ ეს ყველას დაგვაზიანებს“. აქვე აღნიშნა, რომ ეროვნული ბანკის საქმიანობას არ ექმნება არანაირი პრობლემა, რადგან საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა საბჭოს ორ კანდიდატს და მოუწოდა კოლეგებს, რომ ზემოთ ხსენებული ეპითეტებით საუბრის ნაცვლად, ისაუბრონ იმაზე, თუ როგორ შეიძლება გვქონდეს უფრო უკეთესი კანონები და იყვნენ უფრო აქტიურები, რათა ქვეყანაში გვქონდეს უკეთესი ეკონომიკური მდგომარეობა.

ლილე ლიპარტელიანმა წაიკითხა ციტატა თურნავას განცხადებიდან: „რა თქმა უნდა, ჩემთვის ირაკლი კობახიძის განცხადება ძალიან საყურადღებო იყო, რადგან იგი პროფესიონალი იურისტია, მაგრამ, ამ შემთხვევაში, გადაწყვეტილება ჩემით მივიღე. თუ ჩვენი მოსაზრებები ერთმანეთს დაემთხვა, ალბათ იმიტომ, რომ ერთი და იგივე კონსტიტუცია გვაქვს“ და განაცხადა: „მართალია ნათელა თურნავა ნამდვილად - კობახიძეს, თურნავას, ფარცხალაძეს, ხაინდრავას, ქადაგიშვილს, ვოლსკის ერთი კონსტიტუცია აქვთ, ოღონდ ეს საქართველოს კონსტიტუცია არ არის, რუსეთის კონსტიტუციაა“. აქვე განაცხადა, რომ მართალია ნათელა თურნავა, როდესაც ამბობს, რომ არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება ფსბ-ს აგენტი, რადგან „ქართული ოცნება“ ყველას დაიცავს სამშობლოს და სახელმწიფოს ინტერესის წინააღმდეგ და მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „თქვენ, დღეს, გუშინ, გუშინწინ, გადაეფარეთ ფსბ-ს აგენტს, ფარცხალაძეს. რა მოლარული და როგორი პრინციპებია ეს, რომ აგენტს, შენი ქვეყნის წინააღმდეგ მომუშავე აგენტს, გადაეფარეთ? ჯაშუშის დაცვა რომელი მორალური ღირებულებებია და რა პრინციპებია?“ ლილე ლიპარტელიანმა შალვა ოგბაიძის კომენტარის საპასუხოდ განაცხადა, რომ საერთო რაც უნდა ჰქონდეთ საკრებულოს წევრებს, ეს არის ჩვენი ეროვნული ინტერესის დაცვა და ჩვენი ინტეგრაცია თავისუფალ ქვეყნებთან და მიმართა მას: „რას აკეთებთ თქვენ? იცავთ რუსეთის ჯაშუშებს, აკეთებთ რუსულ ბრძანებას ეროვნულ ბანკში და დგებით იმ ქვეყნის სამსახურში, რომელმაც გაგვიუქმა სამეფო, რომელმაც გაგვიუქმა ავტოკეფალია, რომელმაც დაღვარა ჩვენი ბიჭების სისხლი, ოკუპირებული აქვს საქართველოს 20% და მცოცავი ოკუპაციით დღესაც აგრძელებს საქართველოს ოკუპაციას“. საუბრის ბოლოს, ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“ თავისი გადაწყვეტილებებით, იმას კი არ აკეთებს, რაც საერთო ეროვნული ინტერესია, არამედ ანგრევს დემოკრატიას, აღარიბებს ხალხს და ამის შემდეგ ოპოზიციაზე ამბობს, რომ აწყობს რევოლუციას და კიდევ ერთხელ მიმართა საკრებულოს უმრავლესობას: „შოვის ტრაგედიის დროს დაღუპული ადამიანების სიცოცხლე თქვენმა პრემიერმა 20000 ლარად შეაფასა, მთავრობის უპასუხისმგებლობით დაღუპული ადამიანების სიცოცხლე. მე კითხვა მაქვს - სამშობლო რა ღირს, ფასი აქვს?

ნინო რუხაძე გამოეხმაურა ბარბარა ჯიმელი სულაშვილის სიტყვებს, რომ მას არ აქვს პასუხი კითხვებზე და განაცხადა, რომ უცნაურია, როდესაც პოლიტიკოსს არ აქვს პრობლემების მოგვარების ხედვა და არ იცის მათი გადაჭრის გზები, რაც ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ მათ არ აინტერესებთ არც სახელმწიფოებრიობა, არც სახელმწიფო ინსტიტუციების სიმტკიცე, არც კანონის უზენაესობა, არც ამ ქვეყნის ევროპული პერსპექტივა, არც ევროპული ღირებულებები, არც დემოკრატია და არაფერი არ აინტერესებთ, ერთადერთი რაც აინტერესებთ, ეს არის ხელისუფლებაში მოსვლა ყველაფრის ფასად და არაფერზე უკან დამხევები არ არიან. განაცხადა, რომ აქედან გამომდინარე, მათი პათოსი და აღშფოთება „ძალიან ყალბი და არადამაჯერებელია“ და მიმართა მათ: „გიყურებთ, გისმენთ და არ მჯერა რასაც ამბობთ... და, რაც მთავარია, საზოგადოებას არ სჯერა თქვენი, არ სჯერა, რომ მართლა გადარდებთ ამ ქვეყნის ბედი და ამ ხალხის ბედი. არ გადარდებთ, ძალიან დასანანია, მაგრამ ეს თქვენი პრობლემაა და არავინ მოგცემთ უფლებას, რომ ეს თქვენი პრობლემები, თქვენი მერკანტილური ინტერესები ვინმეს მოახვით თავზე და გაადააყოლოთ ეს ქვეყანა. არ მოხდება ეს არასდროს“.

ცოტნე კობერიძემ განაცხადა, რომ საკრებულოს უმრავლესობის წევრები ოპოზიციას უწოდებენ „ნაცებს“, მათ შორის, მასაც, თუმცა, რთული დასაჯერებელია, რომ „ქართულ ოცნებას“ აქვს „ნაცების აუტანლობა“, რადგან 2012 წელს, როდესაც ის ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო, ბექა ოდიშარია 35000 ლარს სწირავდა „ნაციონალურ მოძრაობას“ ანუ მაშინ, როდესაც „ქართული ოცნება“ საარჩევნო კამპანიაში იყო ჩართული, მის კონკურენტს ჩაურიცხა 35000 ლარი და იმ შემთხვევაში დაიჯერებს მათ გულწრფელობას, როდესაც ბექა ოდიშარიასაც ისე დაელაპარაკებიან, როგორც მას ელაპარაკებიან და მასაც „ნაცს“ დაუძახებენ. ამასთანავე, „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი წევრებით არის სავსე დღეს „ქართული ოცნება“ და აქედან გამომდინარე, მათი გულწრფელობის არავის სჯერა. ცოტნე კობერიძე გამოეხმაურა გივი ჩხარტიშვილის გამოსვლას და განაცხადა, რომ მას ძალიან მოეწონა და სურს, რომ ოპოზიციური მედიები უწყვეტ რეჟიმში წერდნენ ბატონ გივის და კითხვებს უსვამდნენ ეროვნულ ბანკზე, რომლის ხსენებაც არ მოეწონა, ასევე იმაზე, თუ რას ფიქრობს მონეტარულ პოლიტიკაზე და დისკონტის განაკვეთზე. აღნიშნა, რომ პოლიტიკური განცხადებებისთვის განკუთვნილ დროს ყოველთვის იყენებს იმაში, რომ აწარმოოს „ქართული ოცნების“ ანტიპროპაგანდა, თუმცა, ამას იმაზე კარგად, რაც დღეს ბატონმა გივიმ გააკეთა, სხვა ვერავინ გააკეთებდა და მიმართა საკრებულოს უმრავლესობას: „გააგრძელეთ ესეთი რიტორიკით... მგონია, რომ ამომრჩეველს კარგად შეეძლება გააკეთოს არჩევანი, განსაკუთრებით ახალგაზრდას, ვის უნდა მისცეს ხმა“.

ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ, როგორც ჩანს, ამ ქვეყანაში, ფაქტების აღქმებად გადაკეთების სერიოზული მცდელობებია და ამის გამოვლინებაა დღევანდელი პროცესი. აღნიშნა, რომ სხდომაზე გაჟღერდა ფრაზები: „ჩვენ თუ შევალთ რუსეთში, ამას ვიზამთ, იმას ვიზამთ“, თუმცა, მეორე მხრივ ამბობენ, რომ „არაფერს ვგეგმავთ“ და მიმართა ოპოზიციონერ კოლეგებს: „ფაქტი არის ის, რომ თუ რაღაც რუსული იყო ამ ქვეყანაში, იყო ის პერიოდი, როდესაც თქვენ ბრძანდებოდით ხელისუფლებაში. აქ, შეიძლება ვიღაცები სკოლის მოსწავლეები იყავით და არც მე არ ვიყავი არსად დასაქმებული, მაგრამ იმ ხალხთან ხართ, რომლებიც გენ.მდივნები იყვნენ იმ პარტიების, რომლებიც ქმნიდნენ რეჟიმებს... აქ იმ ხალხთან გვაქვს ურთიერთობა, რომლებმაც იცოდნენ, რომ ციხეებში აწამებდნენ, მაგრამ თავი არ ჰქონდათ, რომ გაეპროტესტებინათ“. ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ ამ ქვეყანას აქვს კონსტიტუცია და მიუხედავად იმისა, ვინმეს მოსწონს თუ არა, ყველამ უნდა დაიცვას ის, პრეზიდენტმაც და რიგითმა მოქალაქემაც. ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა ოთარ ფარცხალაძეზე, რომელიც, მისი თქმით, „ქართული ოცნების“ გუნდისთვის არავინ არ არის და მას არავითარი ზეგავლენა არ აქვს არც საზოგადოებაზე და არც პოლიტიკურ პროცესებზე და აღნიშნა, რომ მის გარშემო განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, სუსმა დაიწყო გამოძიება და თუ დასასჯელია, დაისჯება. საუბრის ბოლოს გამოეხმაურა ეროვნული ბანკის პოზიციას და განაცხადა, რომ ამ პოზიციის მთავარი მიზანი არის ისეთი პრეცედენტის შექმნა, რომ საქართველოს მოქალაქე, არ აქვს მნიშვნელობა ვინ იქნება ის და მოგვწონს თუ არა

კონკრეტული პიროვნება, დასანქცირდეს ისე, რომ საქართველოს სასამართლოს ნამსჯელი არ ჰქონდეს.

ვახტანგ სურგულაძემ განაცხადა, რომ ოპოზიციის და უმრავლესობის წარმომადგენლებს აქვთ განსხვავებული ღირებულებები და შესაბამისად, არაფრის მტკიცებას აზრი არ აქვს და მიმართა საკრებულოს წევრებს, ეცადონ ერთმანეთს შეურაცხყოფა არ მიაყენონ, საუბარი არ შეაწყვეტინონ და მათთვის განკუთვნილი სასაუბრო დრო გამოიყენონ თავიანთი აზრის და პოზიციის დაფიქსირებისთვის.

სალომე კობალაძემ ისაუბრა ქალაქში არსებულ გაუსაძლის საცობებზე, რაც განსაკუთრებით საგრძნობი გახდა ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად და აღნიშნა, რომ კერძო სკოლებს მოგვარებული აქვთ ტრანსპორტირების პრობლემა, თუმცა, ძალიან ცუდ მდგომარეობაში არიან ამ მხრივ სახელმწიფო სკოლების მოსწავლეები და მათი მშობლები. გასაგებია ის, რომ გარდაუვალი და აუცილებელია სატრანსპორტო რეფორმა, მაგრამ საინტერესოა, როგორ ხდება ამ კრიზისის მართვა მანამ, სანამ დამთავრდება თუნდაც უნივერსიტეტის ქუჩის რეაბილიტაცია? რამე კეთდება ამ მიმართულებით თუ თვითდინებას არის მიშვებული? და არის თუ არა იმის საშუალება, რომ საკრებულომ, როგორც გადაწყვეტილების მიმღებმა ქალაქის ერთ-ერთმა ორგანომ, შეიტანოს წინადადება, რომ სკოლების და უმაღლესი სასწავლებლების ფუნქციონირების პერიოდში, შეიზღუდოს გარკვეული ტიპის ტრანსპორტის გადაადგილება, მაგალითად, სატვირთო და სამშენებლო მანქანების ან ნაგვის გატანა ხდებოდეს ღამის საათებში, რათა შესაძლებელი იყოს ქალაქში არსებული საცობების მართვა.

ანა კაკაბაძე გამოეხმაურა ცოტნე კობერიძის გამოსვლას და მიმართა მას: „ქართულ ოცნებას“ ჰყავს ათასობით წევრი და ათიათასობით მხარდამჭერი, თქვენ პარტიაში ხართ ორნი - ერთი თქვენ და მეორე გირჩი-ჯაფარიძე. გირჩი-ჯაფარიძე რომელ პარტიაში იყო, ჩემზე კარგად იცი. „ქართულ ოცნებაში“ ათასობით ადამიანიდან, რომელიმე რომ, თურმე, 12 წლის წინ, რომელიღაც სხვა პარტიაში ყოფილა ეს რომ გაგიკვირდა, უცნაურია, იმიტომ, რომ შენი პარტიის 50% „ნაცონალური მოძრაობის“ ყოფილი წევრია. ამიტომ, ცოტა უცნაურია შენგან ეს განცხადება“. ანა კაკაბაძე ასევე, გამოეხმაურა სხდომაზე განვითარებულ მოვლენებს, ოპოზიციონერ კოლეგებს მოუწოდა კორექტულობისკენ და მიმართა მათ: „თქვენ არ ებრძვით „ქართულ ოცნებას“, არ ებრძვით ხელისუფლებას, ერთადერთი რასაც ებრძვით, არის ჩვენი სამშობლო, ყველას სამშობლო - საქართველო, საქართველოს სტაბილურობას ებრძვით. იმდენად ხართ მოწყურებულები დაუბრუნდეთ ძალაუფლებას, რომ სასწორზე დებთ ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციას, ჩვენი ქვეყნის მომავალს და ჩვენს ქვეყაში სტაბილურობას... გთხოვთ, თავი შეიკავოთ დესტრუქციისგან... გთხოვთ, თავი დაანებოთ ქვეყნის არეულობის მცდელობას... ქართველი საზოგადოება არ მოგცემთ უფლებას, რომ როგორმე არ მიგვიღონ ევროკავშირში ან როგორმე რაიმე სახის განვითარება არ ჰქონდეს ქვეყანას“.

ზურაბ აბაშიძე გამოეხმაურა საკრებულოს სხდომაზე განვითარებულ მოვლენებს და განაცხადა, რომ, რა თქმა უნდა, დღევადელი დღე არ იყო საუკეთესო თბილისის საკრებულოს ისტორიაში. მისი თქმით, აქამდეც ყოფილა ვნებათა ღელვა და აზრთა სხვადასხვაობა და ეს ასეც უნდა იყოს, რადგან უმრავლესობა და ოპოზიცია სხვადასხვა პოლიტიკური ძალების წარმომადგენლები არიან და ღირებულებით ერთობაზე საუბარი ვერ იქნება. სწორედ იმიტომ არიან სხვადასხვა ადგილას, რომ განსხვავებული ღირებულებები და შეხედულებები აქვთ ქვეყნის მომავალთან დაკავშირებით, თუმცა, უნდა იყვნენ მეტად კორექტულები და ეცადონ, ერთმანეთს შეურაცხყოფა არ მიაყენონ. ფიქრობს, რომ რაც უფრო მოახლოვდება საარჩევნო პერიოდი, კიდევ უფრო გამძაფრდება ვითარება ქვეყანაში და ამის მთავარ წყაროს წარმოადგენს ოპოზიცია, რადგან მათი ინტერესი მარტივია - იციან, რომ არჩევნების გზით ვერ მოვლენ ხელისუფლებაში და მათი მთავარი ამოცანა არის ის, რომ რაც შეიძლება მეტი არეულობა მოხდეს ქვეყანაში და ამის შედეგად მოვიდნენ ქვეყნის სათავეში. საუბრის ბოლოს, გამოეხმაურა ბიზნესის მხრიდან მმართველი პარტიისთვის შემოწირულობის ჩარიცხვაზე გაკეთებულ კომენტარს და განაცხადა, რომ დარწმუნებულია, „ნაციონალური მოძრაობის“ შემომწირველებიდან არცერთი არ იყო გულწრფელი და ეს ადამიანები იყვნენ ძალადობის

მსხვერპლები, ხოლო დღეს, ვერავინ დაასახელებს ვერცერთ ადამიანს, რომელმაც „ქართულ ოცნებას“ ძალით ჩაურიცხა თანხა და ამ განსხვავებას კარგად ხედავს ქართველი ხალხი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ საკრებულოს სხდომაზე გამოაცხადა ოცწუთიანი შესვენება, რის შემდეგაც რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს ოცდაექვსმა წევრმა.

საბა ბუაძემ დიდ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების საკითხს „ძალიან მძიმე გრგ“ უწოდა, აღნიშნა, რომ შეხვდა ადგილობრივ მაცხოვრებლებს, რომლებმაც, მისი თქმით, არ იციან, რა მოელის ამ უბანს პროექტის განხორციელების შედეგად და აღნიშნული საკითხების სხდომის დღის წესრიგიდან ამოღების წინადადებით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან ამა თუ იმ საკითხის ამოღებას კენჭი ეყრება საკრებულოს ბიუროს სხდომაზე, სადაც საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი უკვე დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

ავთანდილ ციწცაძემ აღნიშნა, რომ დიდი დიღმის მაცხოვრებლებთან უკვე წლებია აქვს კავშირი და განაცხადა, რომ უმჯობესი იქნება, ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრისას, მათ გადავცეთ ის, რომ ხსენებული პროექტის ფარგლებში შენდება ორი საბავშვო ბაღი, სკოლა და ძალიან დიდი რეკრეაციული სივრცე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: თამარ გოგიტიძე

3. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-93 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

4. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

5. „ქალაქ თბილისში, სამღერეთის ქუჩა N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.14.095.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

6. „ქალაქ თბილისში, რეხის ქუჩის მიმდებარედ არსებული 2633 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.16.08.001.089) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

7. „ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.017.008) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები/კომერციული ფართები) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

9. „ქ.თბილისში, დიდ ლილოში, მშვიდობის ქ.N1-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.08.29.180; N81.08.35.238; N81.08.35.239) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისში, ივერიის ქუჩა N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.03.038.005.01.527) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N104ზ-ში, კორპუსი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.16.002.174.01.510) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისში, გორის ქუჩა N31-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.124.05.507) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისში, გიორგი მუხაძის ქუჩა N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.17.002.114.01.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისში, გიორგი აბაშვილის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085.08.501 და N01.19.20.020.085.11.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „შპს „სააკაძე 2024“-ისთვის (ს/ნ 406425024) ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.112) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N34-ში არსებული 50.99 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.040.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილების (საქმე N№ს-193 (2კ-21) აღსრულების მიზნით, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერთა ქუჩა N34-ში არსებული 67.83 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.05.498.01.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქუჩა N154-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.36.013.020.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ. 201990079) შორის 2018 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ. 201990079) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

21. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 29 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ვერა დაბრუნდაშვილისთვის (პ/ნ. 01019019078) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

22. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 37 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბარ 26“-ისთვის (ს/ნ. 405172156) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

23. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „პალერმოსთვის“ (ს/ნ. 406238450) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

24. „ქ.თბილისში, იუმაშევის ქ.N14-ის მიმდებარედ არსებული 414 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. N01.19.26.004.151) პირდაპირი განკარგვის წესით სს „ლილო 1"-ისთვის (ს/ნ. 206268741) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

25. „ქ.თბილისში, გამსახურდიას გამზირი N3-ის მიმდებარედ 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.032.009) პირდაპირი განკარგვის წესით თამაზ შეროზიასთვის (პ/ნ. 01024015000) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

26. „ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა N17-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2434 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.07.031.069) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

27. „ქ.თბილისში, ვაზისუბნის დასახლება II მიკრო რაიონში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5310 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.07.016.110) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

28. „ქალაქ თბილისში, ჩიტაიას ქუჩა N17-ში, მე-2 სართულზე არსებული 338.74 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: N01.16.06.006.008.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი მწვანე სახლისთვის" (ს/ნ. 205270570) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

29. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კლასიკო 2020"-ს (ს/ნ. 402010701) შორის 2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-582-1-26243 ხელშეკრულებაში" ცვლილებისა და დამატებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

30. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმას" (ს/ნ. 204873388) შორის 2020 წლის 18 ივნისს გაფორმებულ „ფეხით გადასასვლელი ხიდების მშენებლობის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ალმას" (ს/ნ. 204873388) მიმართ რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

31. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვანის ქუჩა N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.13.06.008.006, ფართობი - 1860 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

32. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გორგასალის ქუჩა N75-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩის შესახვევი N14ბ; ქალაქი თბილისი, ქუჩა ვახტანგ გორგასალი, შესახვევი, N14; ქალაქი თბილისი, ქუჩა გორგასალი, მინისტრთა კაბინეტის მთავ. სამეურნ. სამმართველოს, და შინაგან საქმეთა სამინისტროს N2 და N3 სახლების მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.09.002.052, ფართობი - 7149 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

33. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ვახტანგ ცინცაძის ქუჩა, N2-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.033.059, ფართობი - 1740 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

34. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სესილია თაყაიშვილის ქ.N38-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.39.002.112, ფართობი - 668 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

35. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ხერგიანის ქუჩა N1; ქალაქი თბილისი, გლდანის VI მ/რ, მ.ხერგიანის ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.12.001.023, ფართობი - 2184 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

36. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ. 204460957) და შპს „არქი ვარკეთილის" (ს/ნ. 405247754) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

37. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში ი.ბ.ა „ვაშლიჯვარის" (ს/ნ. 205584820) მიმართ მისამართზე: ქ.თბილისი, არზაყან (დიმიტრი) ემუხვარის ქუჩა N12 (ს/კ.: N01.10.18.005.046, ფართობი 668 კვ.მ.) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

38. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

39. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.11.05.030.002) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

40. „ქ.თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.32.026; N81.02.32.114; N81.02.32.115; N81.02.32.051; N81.02.32.008; N81.02.32.022; N81.02.32.023; N81.02.32.024; N81.02.32.025; N81.02.32.027; N81.02.32.042; N81.02.32.045; N81.02.32.164) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

41. „ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.10.06.022.007) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

42. „ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.022.008; N01.10.06.022.007-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

43. „ქ.თბილისში, ნოდარ ბოხუას ქუჩა N1; N3ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.01.014.003; N01.13.01.014.053) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

44. „ქალაქ თბილისში, რეხის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.16.08.005.117; N01.16.08.005.109; N01.16.08.006.110) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

45. „ქ.თბილისში, დიდგორის რაიონში, სოფელ წავკისში შ.პ.ს. „ზევსი"-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, გარდაბნის რაიონის ქალაქთმშენებლობის, არქიტექტურის, მშენებლობისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურის მიერ 19.10.06 წ. შეთანხმებული საცხოვრებელი კომპლექსის „წავკისი ველის" განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

46. „ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16

სექტემბრის N01/2773 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

47. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.21.331; N81.02.21.276; N81.02.21.332) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N411 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

48. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქ.N5-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N86 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

49. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.15.580; N72.16.15.582; N72.16.15.445; N72.16.15.805; N72.16.33.070; N72.16.15.584; N72.16.15.585; N72.16.23.669) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

50. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩა, N 19-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.19.24.007.905) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

51. „ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, ერეკლე დანელიას ქუჩა, N16-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N72.16.09.179) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

52. „ქალაქ თბილისში, სოფელი წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.13.589; N81.02.13.588; N81.02.13.590; N81.02.13.587; N81.02.19.647; N81.02.19.670) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

53. „ქალაქ თბილისში, სოფელი ტაბახმელა; ქალაქი თბილისი, სოფელი ტაბახმელა, თბილისი-კოჯორის გზატკეცილი N129, N131, N133-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.02.03.583; N81.02.03.578; N81.02.03.577; N81.02.03.582; N81.02.03.575; N81.02.03.943) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

54. „ქალაქ თბილისში, სოფელი ქვემო ლისში, „ხოდაბუნების მიწა"-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N72.16.17.979; N72.16.21.078; N72.16.21.071; N01.72.16.096.001; N72.16.17.542; N72.16.21.978) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

55. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.006.021; ნაკვეთი 06/021) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ნოემბრის N349 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

56. „ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში ასასვლელ გზასა და ფარნავაზის ქუჩის გადაკვეთასთან; ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, ჰიპერმარკეტ „გუდვილი"-ს მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი N1ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.06.011.083; N01.10.06.011.063) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის N285 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტისა და „ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში ასასვლელ გზასა და ფარნავაზის ქუჩის გადაკვეთასთან; ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, ჰიპერმარკეტ „გუდვილი"-ს მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი N1ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.06.011.083; N01.10.06.011.063) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის N283 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

57. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2023 წლის 6 თვის (01.01.2023-01.07.2023) მუშაობის ანგარიში".

მომხსენებელი: ლევან ჯაფარიძე

მომხრე - 17

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

რადიოფიცირებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერულ სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და საკრებულოს თავმჯდომარემ განმეორებით დააყენა კენჭისყრაზე დღის წესრიგი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ თბილისის ბიუჯეტი იზრდება 9.5 მილიონი ლარით და მთლიანი მოცულობა შეადგენს 1833000000 ლარს. ცვლილებები ძირითადად გამოწვეულია სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის, სხვადასხვა ობიექტების. ასევე, გზების აღსადგენად და მოსაწესრიგებლად. ამასთანავე, თანხები იცვლება საბავშვო ბაღების ვაუჩერების მიმართულებით 6000000 ლარით და გარე განათების ექსპლუატაციის მიმართულებით 5.5 მილიონი ლარით. შემოსავლების ნაწილში იზრდება საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ სახსრებზე დარიცხული პროცენტი 9.5 მილიონი ლარით და გადანაწილებისთვის მცირდება გადასახდელი პროცენტები, რაც გამოწვეულია იმით, რომ ვალუტის გაცვლითი კურსი იყო დაგეგმილზე ნაკლები, შესაბამისად არ გაფორმდა ხელშეკრულება და ამ ხარჯის გაწევა აღარ გახდა საჭირო.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 4

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა თამარ გოგიტიძემ და განმარტა, რომ ცვლილება შედის გაფანტული სკლეროზის მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსების პროგრამაში, კერძოდ, დღემდე მოქმედი რედაქციის თანახმად, მედიკამენტები სრულად უფინანსდებოდათ სოციალურად დაუცველ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატებოდა 150000-ს, ხოლო წარმოდგენილი ცვლილებით, საჭირო მედიკამენტები 100%-ით დაუფინანსდება ყველას, მიუხედავად იმისა, ექნება თუ არა მას სოციალურად დაუცველის სტატუსი.

ზურაბ ჩიკვილაძემ აღნიშნა, რომ ხსენებული პროგრამა მოქმედებს 2021 წლიდან, რომელიც ითვალისწინებდა თანადაფინანსებას, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ მედიკამენტები საკმაოდ მაღალფასიანია, პირველი ოქტომბრიდან, მათ ღირებულებას სრულად აანაზღაურებს თბილისის მერია. გარდა ამისა, თბილისის მერია აანაზღაურებს ასევე, მთლიანად იმ სერვისისთვის საჭირო თანხას, რაც განსაზღვრულია ამ მომსახურების მიწოდებასთან. საუბრის ბოლოს, ზურაბ ჩიკვილაძემ მადლობა გადაუხადა თბილისის მერს ამ ინიციატივისთვის და ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩართული იყო პროექტის შემუშავებაში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

3. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-93 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს უფროსმა გიორგი კობიაშვილმა და განმარტა, რომ დადგენილების დღეს მოქმედი რედაქციის თანახმად, თბილისი დაყოფილია წითელ და მწვანე ზონებად, ხოლო მსხვილფეხა და წვრილფეხა ცხოველების გადაადგილება დაშვებულია მხოლოდ მწვანე ზონაში. წარმოდგენილი ცვლილებით თბილისი მთლიანად ხდება წითელი ზონა და შესაბამისად იკრძალება მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის გადაადგილება. აქვე აღნიშნა, რომ ცვლილება არ ეხება თბილისს შემოერთებულ ნაწილს და ის რჩება მწვანე ზონად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

4. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ცვლილება ეხება აუქციონის მომსახურების საფასურის გადახდას, კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება აუქციონის შედეგების გაუქმება, მოქალაქე და დაინტერესებული პირი აღარ გადაიხდის დამატებითი მომსახურების საფასურს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

5. „ქალაქ თბილისში, სამღერეთის ქუჩა N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.14.095.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 108 კვ.მ. ფართის გადაცემა ხუთი ოჯახისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

6. „ქალაქ თბილისში, რეხის ქუჩის მიმდებარედ არსებული 2633 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.16.08.001.089) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა

ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი რეალურად არის მონაცვლეობა, კერძოდ, მოქალაქეს აქვს მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის ფარგლებშიც ითხოვს ლისის ტბის მიმდებარედ 1155 კვ.მ. მიწის რეგისტრაციას, სადაც, დღეის მდგომარეობით, მოწყობილია სკვერი და სპორტული მოედანი. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მიწის სანაცვლოდ, მუნიციპალიტეტი მოქალაქეს გადასცემს რეხის ქუჩაზე მდებარე 2633 კვ.მ. მიწის ნაკვეთს. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ღირებულება არის 655000 ლარი, ხოლო ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - 645000 ლარი და ფასთა შორის სხვაობას დაინტერესებული პირი გადაიხდის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე 28

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

7. „ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.017.008) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები/კომერციული ფართები) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი ეხება ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პირველ პროექტს, სადაც სამსართულიანი სახლის ნაცვლად, ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ უნდა ააშენოს ათსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელშიც იქნება 95 ბინა. 29 ბინა გადაეცემათ ძველ მესაკუთრეებს, ხოლო დანარჩენი 56 ბინით და 3 კომერციული ფართით გამარჯვებულ კომპანიასთან მოხდება ნატურით ანგარიშსწორება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ სამგორის რაიონში, სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე, დაახლოებით 80000 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, მუნიციპალიტეტს დაგეგმილი აქვს დიდი პარკის მშენებლობა. აღნიშნულ ტერიტორიაზე არის ორი ოჯახი, რომლებიც ფლობენ ფართებს და შესაბამისად, პარკის პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის, ამ ოჯახებს მუნიციპალიტეტი სთავაზობს ბინებს, კერძოდ, ერთ ოჯახს სთავაზობს 183 კვ.მ.-ს, ხოლო მეორეს - 182 კვ.მ.-ს, რის სანაცვლოდაც ისინი დატოვებენ აღნიშნულ ფართებს და უარს განაცხადებენ მოთხოვნის უფლებაზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

9. „ქ.თბილისში, დიდ ლილოში, მშვიდობის ქ.N1-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.08.29.180; N81.08.35.238; N81.08.35.239) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია დაახლოებით 40000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა საქართველოს რაგბის კავშირისთვის, რომელმაც 2025 წლის 31 დეკემბრამდე უნდა მოაწყოს არანაკლებ 2000 მაყურებელზე გათვლილი რაგბის მოედანი, საჭირო ინფრასტრუქტურით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

10. „ქალაქ თბილისში, ივერიის ქუჩა N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.03.038.005.01.527) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 42 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 30 წელზე მეტია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

11. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N104ზ-ში, კორპუსი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.16.002.174.01.510) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 40 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2004 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

12. „ქალაქ თბილისში, გორის ქუჩა N31-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.124.05.507) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის

შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია დამატებით 6 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2005 წლიდან სარგებლობს ამ ფართით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

13. „ქალაქ თბილისში, გიორგი მუხამის ქუჩა N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.17.002.114.01.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 26 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2007 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

14. „ქალაქ თბილისში, გიორგი აბაშვილის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085.08.501 და N01.19.20.020.085.11.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 54 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2012 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

15. „შპს „სააკაძე 2024“-ისთვის (ს/ნ 406425024) ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.112) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ მიერ შარტავას ქ.N1-სა და N3-ში დაუმთავრებელი მშენებლობით დაზარალებულების საკითხი, კერძოდ, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფს“ გადაეცემა 18 ბინა, შემდგომში 18 ოჯახისთვის გადაცემის მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

16. „ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 70 კვ.მ. ფართის გადაცემა სამი ოჯახისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

17. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N34-ში არსებული 50.99 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.040.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 50 კვ.მ. ფართის გადაცემა ორი ოჯახისთვის, რომლებიც 1992 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

18. „საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილების (საქმე Nბს-193 (2კ-21) აღსრულების მიზნით, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერთა ქუჩა N34-ში არსებული 67.83 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.05.498.01.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 67 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1975 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

19. „ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქუჩა N154-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.36.013.020.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 36 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1993 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ. 201990079) შორის 2018 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ. 201990079) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში დაკისრებული პირგასამტეხლოს პატიება, კერძოდ, 2018 წელს მუნიციპალიტეტსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც, ფედერაციას, ვარკეთილში, გადაეცა 18243 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ფეხბურთის მოედნის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით. დღეის მდგომარეობით, მოედანი მოწყობილია და ფუნქციონირებს, თუმცა, მოხდა ექსპლუატაციის ვადების დარღვევა, რის გამოც ფედერაციას დაეკისრა პირგასამტეხლო 88200 ლარის ოდენობით, რომლის პატიებაც არის წარმოდგენილი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

21. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 29 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ვერა დაბრუნდაშვილისთვის (პ/ნ. 01019019078) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 6960 ლარს.

საბა ბუაძე დაინტერესდა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების იჯარის ვადა ყველა ხუთწლიანია თუ ვადები შეიძლება იყოს განსხვავებული.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ იჯარის მაქსიმალური ვადა არის 5 წელი და ხელშეკრულება ფორმდება დაინტერესებული პირის მოთხოვნის შესაბამისად.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ 5 წლის განმავლობაში უძრავი ქონების ღირებულება იზრდება და დაინტერესდა, რატომ ხდება ამ ვადით უძრავი ქონების გადაცემა.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ 5 წლის ვადით მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა ხდება იმ მიზნით, რომ ბიზნესმა ნახოს გარკვეული სტაბილურობა და გათვალოს რისკები. აქვე აღნიშნა, რომ საკრებულოს მიერ დამტკიცებულია სტანდარტული იჯარის ხელშეკრულება, სადაც წერია, რომ ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლის გაუმჯობესების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების გადახედვა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

22. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 37 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბარ 26"-ისთვის (ს/ნ. 405172156) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის ვადა არის 2027 წლის 23 ივლისამდე, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 8880 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

23. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „პალერმოსთვის" (ს/ნ. 406238450) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 6000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

24. „ქ.თბილისში, იუმაშევის ქ.N14-ის მიმდებარედ არსებული 414 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. N01.19.26.004.151) პირდაპირი განკარგვის წესით სს „ლილო 1"-ისთვის (ს/ნ. 206268741) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე"

საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ზემოთ ხსენებულ ტერიტორიაზე არის რკინიგზის ლიანდაგი და მიწის ნაკვეთის გადაცემა ხდება სარკინიგზო ტვირთების ტრანსპორტირების მიზნით. აღსანიშნავია, რომ ხსენებული ტერიტორია აქამდეც იჯარით იყო გადაცემული, ამ ეტაპზე წარმოდგენილია იჯარის ვადის გაგრძელება 10 წლით, ხოლო წლიური ქირა შეადგენს 4968 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

შალვა ოგბაიძემ აღნიშნა, რომ მხარს უჭერს წარმოდგენილ საკითხს, თუმცა, ვერ მოასწრო კენჭისყრაში მონაწილეობის მიღება და ითხოვა თავისი ხმის დაფიქსირება კენჭისყრის შედეგებში. კენჭისყრის საბოლოო შედეგი:

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

25. „ქ.თბილისში, გამსახურდიას გამზირი N3-ის მიმდებარედ 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.032.009) პირდაპირი განკარგვის წესით თამაზ შეროზიასთვის (პ/ნ. 01024015000) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება კიბის უჯრედის მოწყობის მიზნით. იჯარის ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 1296 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

26. „ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა N17-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2434 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.07.031.069) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მუნიციპალურ და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა. შპს „ტერა ბილდინგის“ საკუთრებაში არსებული 1500 კვ.მ. უძრავი ქონება მდებარეობს შატბერაშვილის ქუჩის მიმდებარედ, სადაც გენ.გეგმის მიერ მოხდა გრგ-ს გაუქმება, ხოლო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2434 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მდებარეობს შანდორ პეტეფის ქ.N17-ში, სადაც ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

27. „ქ.თბილისში, ვაზისუბნის დასახლება II მიკრო რაიონში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5310 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.07.016.110) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მუნიციპალურ და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა. ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული 2100 კვ.მ. უძრავი ქონება მდებარეობს დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე, სადაც ძველი გენ.გეგმით ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა, ხოლო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5300 კვ.მ. მიწის ნაკვეთი - ვაზისუბნის II მ/რ-ში, სადაც ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6.

საბა ბუაძე დაინტერესდა, ახალი გენ.გეგმის მიღებამდე, ჰქონდა თუ არა კერძო მესაკუთრეს მოთხოვნილი ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება. აქვე აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხს მხარს უჭერს, თუმცა, აინტერესებს რამდენად სწორია ხსენებული მიწის ნაკვეთის შეფასება ძველი გენ.გეგმის მიხედვით - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით და რა პერიოდში აქვს შეძენილი მიწის ნაკვეთი დღევანდელ მესაკუთრეს.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ინფორმაცია არ აქვს იმასთან დაკავშირებით, ჰქონდა თუ არა კერძო მესაკუთრეს მოთხოვნილი ტერიტორიის განაშენიანების ნებართვა ძველი გენ.გეგმის მოქმედების პერიოდში, თუმცა, დღეის მდგომარეობით, მას დაწერილი აქვს განცხადება და მონაცვლეობის საფუძველი არის სწორედ ის, რომ მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გაუარესდა ფუნქციური ზონის სტატუსი და ვეღარ იყენებს უფლებას, რომ მუნიციპალიტეტს მიმართოს მშენებლობის ნებართვის მოთხოვნით. რაც შეეხება შეფასებას, განმარტა, რომ მუნიციპალიტეტმა, თავისი ქმედებით, საგრძნობლად გააუარესა კერძო მესაკუთრის ქონების ღირებულება, ხოლო გენ.გეგმაში მითითებულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ზონის გაუარესება, უნდა მოხდეს კომპენსირება ან თანხით, ან მიწის ნაკვეთის მონაცვლეობით. აქვე აღნიშნა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, დღევანდელ მესაკუთრეს მიწის ნაკვეთი არ შეუძენია შეცვლილი ზონის პირობებში, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ხდება საკუთრების გადაცემა, მას მიჰყვება ნებისმიერი უფლება, თუ სხვა რამ არ არის დათქმული ხელშეკრულებაში.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიის ქალაქისთვის დაბრუნება არის მუნიციპალიტეტის ინტერესი და კერძო მესაკუთრეს რომც არ ჰქონოდა მოთხოვნა, მუნიციპალიტეტი მაინც აწარმოებდა მასთან მოლაპარაკებებს მიწის ნაკვეთების მონაცვლეობაზე.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლის თანახმად, მოთხოვნა ან უფლება, რომელთა დათმობა და დაგირავებაც შესაძლებელია, მათმა მფლობელმა შეიძლება საკუთრებად გადასცეს სხვა პირს. მოთხოვნები და უფლებები ახალ პირზე გადადის ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყვნენ, რაც ნიშნავს იმას, რომ როდესაც მესაკუთრე ყიდის თავის ქონებას, ამ ქონებიდან გამომდინარე, მოთხოვნები ავტომატურად გადაჰყვება. აღნიშნული შეიძლება დაფიქსირებული იყოს ხელშეკრულებაშიც, შეიძლება ეს ასე არ იყოს, მაგრამ გულისხმობს, რომ ეს ქონება, თავისი აქტივით და პასივით გადადის ახალ მესაკუთრეზე. იგივე პროცესია, როდესაც იჯარის ხელშეკრულების დროს იცვლება მეიჯარე ან მოიჯარე. რაც შეეხება

ზოგადად, მიწის ნაკვეთების შეფასებას, გენ.გეგმის პირვანდელ ვერსიაში ეწერა, რომ ზიანი ანაზღაურდებოდა კანონმდებლობის შესაბამისად, რაც შემდეგ დაზუსტდა და დღევანდელი რედაქციის თანახმად, შესაძლებელია ზონის დაბრუნება, ფულით ანაზღაურება და მონაცვლეობა.

საბა ბუაძე დაინტერესდა, ყოფილა თუ არა ისეთი შემთხვევა, როდესაც გენ.გეგმის მიერ ზონის შეცვლის შემდეგ, კერძო მესაკუთრე ითხოვდა ტერიტორიის განვითარებას ძველი ზონის შესაბამისად და მუნიციპალიტეტმა უთხრა უარი.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ზოგადად, როდესაც დაინტერესებული პირი მუნიციპალიტეტს მიმართავს მიწის ნაკვეთის მონაცვლეობის თხოვნით, პირველ ყოვლისა, განიხილება შესაძლებელია თუ არა ამ ტერიტორიისთვის ძველი სტატუსის დაბრუნება და იმ შემთხვევაში თუ ეს შეუძლებელია და მიზანშეწონილი არ არის ტერიტორიის განაშენიანება, შემდეგ განიხილება სხვა ალტერნატივა. აქვე აღნიშნა, რომ დაინტერესებული პირისთვის უარის თქმის შემთხვევებიც ყოფილა და ეს ხდება მაშინ, როდესაც კანონმდებლობით არ ეკუთნის მონაცვლეობა, რადგან მიწის ნაკვეთი ვერც ძველი და ვერც ახალი სტატუსის პირობებში ვერ აკმაყოფილებს განაშენიანებისთვის საჭირო მინიმალურ პარამეტრებს კვადრატულობით, სიღრმით ან კიდევ რაიმე სხვა მონაცემით. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ტერიტორია ძველი გენ.გეგმით აკმაყოფილებდა განაშენიანების პარამეტრებს და ახალმა გენ.გეგმამ შეუზღუდა ამის უფლება, მუნიციპალიტეტი ყველა შემთხვევაში ანაცვლებს მიწის ნაკვეთს.

გივი ჩხარტიშვილმა განაცხადა, რომ დიღმის ტყე-პარკი მდებარეობს მის სამაჟორიტარო ოლქში და ყველამ იცის, თუ რა მოცულობის რეკრეაციული სივრცეა, რომლის დაბრუნება დედაქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა, ამ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არიან კერძო მესაკუთრეები და მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს: „თქვენც დაგვეხმარეთ, მეგობრებო“.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

28. „ქალაქ თბილისში, ჩიტაიას ქუჩა N17-ში, მე-2 სართულზე არსებული 338.74 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: N01.16.06.006.008.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი მწვანე სახლისთვის“ (ს/ნ. 205270570) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ა(ა)იპ „ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი მწვანე სახლისთვის“ ფართის გადაცემა დამატებით 2 წლის ვადით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 17

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

რადიოფიცირებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერულ სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და საკრებულოს თავმჯდომარემ განმეორებით დააყენა კენჭისყრაზე წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

29. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კლასიკო 2020"-ს (ს/ნ. 402010701) შორის 2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-582-1-26243 ხელშეკრულებაში" ცვლილებისა და დამატებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მუნიციპალიტეტსა და შპს-შორის გაფორმებული ხელშეკრულების ძირითადი პირობა იყო 7000 კვ.მ.-ს მუნიციპალიტეტისთვის გადაცემა, შემდგომში ავარიული ფართებიდან მოსახლეობის გადაყვანის მიზნით. წარმოდგენილი ცვლილებებით ხდება მშენებლობის დასრულების ვადის გადაწევა ერთი წლით და ამ ადამიანების გადაყვანის პრინციპების დაზუსტება - ფართით გასტუმრება, თანხით გასტუმრება და მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემა, შემდგომი დაკანონების მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

30. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმას" (ს/ნ. 204873388) შორის 2020 წლის 18 ივნისს გაფორმებულ „ფეხით გადასასვლელი ხიდების მშენებლობის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონებისა და შპს „ალმას" (ს/ნ. 204873388) მიმართ რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ 2020 წელს მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვებულმა კომპანიამ „ალმა" აიღო 15 საფეხმავლო ხიდის მშენებლობის ვალდებულება ქალაქის მასშტაბით, ხოლო სანაცვლოდ, აღნიშნულ ხიდებზე 25 წლის ვადით განათავსებს რეკლამას. პროექტით წარმოდგენილია ვადების ცვლილება, კერძოდ, მცირდება საბოლოო ვადა და პროექტი 2026 წლის ნაცვლად, უნდა დასრულდეს 2025 წელს, ასევე, ხდება შიდა ვადების გადანაწილება და 2023 წლის ივნის-ივლისის ნაცვლად განისაზღვრება 2024 წლის თებერვალ-დეკემბერი, ხოლო ლოკაციები რჩება უცვლელი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

31. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვანის ქუჩა N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.13.06.008.006, ფართობი - 1860 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დაინტერესებული მხარე, ვანის ქ.N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.3-მდე გადამეტებისა და გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციებისგან გათავისუფლების სანაცვლოდ, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხავს 962000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

32. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გორგასალის ქუჩა N75-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩის შესახვევი N14ბ; ქალაქი თბილისი, ქუჩა ვახტანგ გორგასალი, შესახვევი, N14; ქალაქი თბილისი, ქუჩა გორგასალი, მინისტრთა კაბინეტის მთავ. სამეურნ. სამმართველოს, და შინაგან საქმეთა სამინისტროს N2 და N3 სახლების მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.09.002.052, ფართობი - 7149 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დაინტერესებული პირი, გორგასლის ქ.N14ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის 2.1-დან 3.0-მდე გადამეტებისა და გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციებისგან გათავისუფლების სანაცვლოდ, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხავს 3000000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

33. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ვახტანგ ცინცაძის ქუჩა, N2-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.033.059, ფართობი - 1740 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დაინტერესებული პირი, სოფელ დიღომში, ცინცაძის ქ.N2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 1.5-დან 2.0-მდე გადამეტების სანაცვლოდ,

რაც ნიშნავს ერთი სართულის მომატებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხავს 323000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

34. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სესილია თაყაიშვილის ქ.N38-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.39.002.112, ფართობი - 668 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დაინტერესებული მხარე, თაყაიშვილის ქ.N38-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 2.5-დან 4.1-მდე გადამეტების სანაცვლოდ, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხავს 295000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

35. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ხერგიანის ქუჩა N1; ქალაქი თბილისი, გლდანის VI მ/რ, მ.ხერგიანის ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.12.001.023, ფართობი - 2184 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დაინტერესებული პირი, გლდანში, ხერგიანის ქ.N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის 5.0-მდე გადამეტების სანაცვლოდ, რაც ნიშნავს ერთი სართულის მომატებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხავს 330000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

36. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ. 204460957) და შპს „არქი ვარკეთილის“ (ს/ნ. 405247754) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების ფარგლებში, შპს „არქი ვარკეთილი“ 122000 ათას ლარზე ცოტა მეტი თანხით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ ობიექტებს, ხოლო სანაცვლოდ, კომპანია ვარკეთილში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც დამტკიცებულია გრგ, მიიღებს კოეფიციენტის მატების უფლებას 4.4-დან 4.6-მდე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

37. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში ი.ბ.ა „ვაშლიჯვარის“ (ს/ნ. 205584820) მიმართ მისამართზე: ქ.თბილისი, არზაყან (დიმიტრი) ემუხვარის ქუჩა N12 (ს/კ.: N01.10.18.005.046, ფართობი 668 კვ.მ.) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებაში ცვლილების განხორციელება. კერძოდ, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფსა“ და ი.ბ.ა „ვაშლიჯვარის“ მიმართ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, მხოლოდ გადამეტებულ ფართზე, საჭიროა მიჯნის ზონის პრეფერენციის გამოყენება კ2 კოეფიციენტის ათვისების მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

38. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ და ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წინადადებები წარმოდგენილია თბილისის მერის წერილებით: N12-032324412-03 თარიღი: 01.09.2023, N12-032324414-03 თარიღი: 01.09.2023, N12-03232501-03 თარიღი: 07.09.2023, N12-03232511-03 თარიღი: 08.09.2023, N12-032326380-03 თრიღი: 20.09.2023 და N12-032326389-03 თარიღი: 20.09.2023, რომელთაგან, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, დამატებით შესწავლას მოითხოვს და უმჯობესია განსახილველად

გადაიდოს N12-032326380-03 წერილით წარმოდგენილი „ე“ პოზიცია, ხოლო დანარჩენ პოზიციებზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია და საკრებულოს კომისიების რეკომენდაციის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 11

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

რადიოფიცირებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერულ სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და საკრებულოს თავმჯდომარემ განმეორებით დააყენა კენჭისყრაზე წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

39. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.11.05.030.002) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 6500 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით, განთავსდება ხუთი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

40. „ქ.თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.32.026; N81.02.32.114; N81.02.32.115; N81.02.32.051; N81.02.32.008; N81.02.32.022; N81.02.32.023; N81.02.32.024; N81.02.32.025; N81.02.32.027; N81.02.32.042; N81.02.32.045; N81.02.32.164) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 9000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, განთავსდება ცხრა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

41. „ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.10.06.022.007) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 76000 კვ.მ., როემლიც ვითარდება კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმის შესაბამისად. ტერიტორიაზე გავრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 და განვითარდება 3.8 კოეფიციენტით. 90% პროცენტი დაეთმობა საცხოვრებელ, ხოლო 10% კომერციულ ფუნქციას და ამასთანავე, შენობა N3-ში გათვალისწინებულია საბავშვო ბაღის განთავსება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

42. „ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.022.008; N01.10.06.022.007-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 77000 კვ.მ., რომელიც ვითარდება 3.8 კოეფიციენტით. განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ცალკე სექტორად გამოიყოფა მიწის ნაკვეთი, რომელიც გადაეცემა განათლების სამინისტროს სკოლის ასაშენებლად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

43. „ქ.თბილისში, ნოდარ ბოხუას ქუჩა N1; N3ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.01.014.003; N01.13.01.014.053) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიაზე დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება, რომლის თანახმად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის პარამეტრებით, განთავსდება სამი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

44. „ქალაქ თბილისში, რეხის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.16.08.005.117; N01.16.08.005.109; N01.16.08.006.110) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიაზე დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება, რომლის თანახმად, საცხოვრებელი ზონა 2-ის პარამეტრებით, განთავსდება ცამეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

45. „ქ.თბილისში, დიდგორის რაიონში, სოფელ წავკისში შ.პ.ს. „ზევსი"-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, გარდაბნის რაიონის ქალაქთმშენებლობის, არქიტექტურის, მშენებლობისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურის მიერ 19.10.06 წ. შეთანხმებული საცხოვრებელი კომპლექსის „წავკისი ველის" განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ კორექტირება ითვალისწინებს ორი საკადასტრო ერთეულის გაერთიანებას და ერთი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

46. „ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 სექტემბრის N01/2773 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ კორექტირება ითვალისწინებს ორი საკადასტრო ერთეულის

ამორიცხვას განაშენიანების რეგულირების გეგმიდან, რის შედეგადაც განაშენიანების რეგულირების გეგმას გამოაკლდება 1727 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

47. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.21.331; N81.02.21.276; N81.02.21.332) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N411 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ კორექტირება ეხება ერთ საკადასტრო ერთეულს, კერძოდ, მიწის ნაკვეთი, რომლის ფართია 1300 კვ.მ., იმიჯნება ორ საკადასტრო ერთეულად, სადაც განთავსდება ორი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

48. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქ.N5-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N86 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ კორექტირება ეხება IIბ ბლოკს, სადაც გათვალისწინებული იყო ორსართულიანი, ხუთი მეტრი სიმაღლის შენობის განთავსება. ცვლილებით წარმოდგენილია სიმაღლის მატება 15 მეტრამდე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

49. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.15.580; N72.16.15.582; N72.16.15.445; N72.16.15.805; N72.16.33.070; N72.16.15.584; N72.16.15.585; N72.16.23.669) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე

საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 7400 კვ.მ., სადაც, განთავსდება ცხრა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

50. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩა, N 19-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.19.24.007.905) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 99000 კვ.მ., სადაც, განთავსდება თოთხმეტი სასაწყობე და მცირე საოფისე შენობა-ნაგებობები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

51. „ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, ერეკლე დანელიას ქუჩა, N16-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N72.16.09.179) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 8300 კვ.მ., სადაც, განთავსდება შვიდი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

52. „ქალაქ თბილისში, სოფელი წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.13.589; N81.02.13.588; N81.02.13.590; N81.02.13.587; N81.02.19.647; N81.02.19.670) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის

მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 38000 კვ.მ., სადაც, განთავსდება ოცდათოთხმეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, სარეკრეაციო ზონა 2-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

53. „ქალაქ თბილისში, სოფელი ტაბახმელა; ქალაქი თბილისი, სოფელი ტაბახმელა, თბილისი-კოჯორის გზატკეცილი N129, N131, N133-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.02.03.583; N81.02.03.578; N81.02.03.577; N81.02.03.582; N81.02.03.575; N81.02.03.943) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 32000 კვ.მ., სადაც, განთავსდება ოცდათხუთმეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, საცხოვრებელი ზონა 1-ის და სატრანსპორტო ზონა 1-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

54. „ქალაქ თბილისში, სოფელი ქვემო ლისში, „ხოდაბუნების მიწა"-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N72.16.17.979; N72.16.21.078; N72.16.21.071; N01.72.16.096.001; N72.16.17.542; N72.16.21.978) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 20000 კვ.მ., სადაც, განთავსდება თექვსმეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, სარეკრეაციო ზონა 2-ის და სატრანსპორტო ზონა 1-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

55. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.006.021; ნაკვეთი 06/021) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ნოემბრის N349 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 62000 კვ.მ. კორექტირება ეხება შენობების განთავსებას და გზათა ქსელის შეცვლას. ასევე, წარმოდგენილი ცვლილებით კ2 კოეფიციენტი 3.1-დან მცირდება 3.0-მდე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

56. „ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში ასასვლელ გზასა და ფარნავაზის ქუჩის გადაკვეთასთან; ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, ჰიპერმარკეტ „გუდვილი“-ს მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი N1ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.06.011.083; N01.10.06.011.063) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის N285 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტისა და „ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში ასასვლელ გზასა და ფარნავაზის ქუჩის გადაკვეთასთან; ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, ჰიპერმარკეტ „გუდვილი“-ს მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი N1ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.06.011.083; N01.10.06.011.063) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის N283 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიაზე 2023 წელს დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება და განაშენიანების რეგულირების გეგმა, თუმცა, დაინტერესებული მხარის მიერ მოთხოვნილია აღნიშნულ ტერიტორიაზე დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ძალადაკარგულად გამოცხადება, შემდგომ კომერციული განვითარების მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

57. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2023 წლის 6 თვის (01.01.2023-01.07.2023) მუშაობის ანგარიში“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სარევიზო კომისიის თავმჯდომარე ლევან ჯაფარიძემ (ანგარიში ოქმს თან ერთვის).

შალვა ოგბაიძე დაინტერესდა, თუ რომელი სამსახურები შემოწმდა ანგარიშით წარმოდგენილ პერიოდში.

ლევან ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ შემოწმდა ვირსალაძის სახელობის გიმნაზია, ეროვნული სკრინინგის ცენტრი, სახელოვნებო სკოლა, მუნიციპალური თავშესაფარი და ბაგა-ბაღები. ამ ეტაპზე შემოწმების პროცესშია საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო, „თბილსერვის ჯგუფი“, ზოოპარკი და მუნიციპალური ლაბორატორია. დაგეგმილია საქალაქო ინფრასტრუქტურული სამსახურის, სოციალური სამსახურის და საქალაქო ადმინისტრაციის შემოწმება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2023 წლის 6 თვის მუშაობის ანგარიში ცნობად იქნა მიღებული.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 5 დადგენილება და 51 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის
2023 წლის 6 თვის (01.01.2023-01.07.2023) მუშაობის ანგარიში

ქ.თბილისი 22 სექტემბერი 2023 წელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისსაკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის№2-1 დადგენილებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2014 წლის 21 ივლისის №3-12 დადგენილებით დამტკიცებული დებულების თანახმად, სარევიზიო კომისიისმიერ 2023 წლის 1 იანვრიდან - 2023 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეულ სამუშაოებზე დაყრდნობით შედგენილია წინამდებარე ანგარიში, რომელიც კომისიაზე განხილვის შემდგომ წარედგინება საკრებულოს.

მოცემული დოკუმენტი შემუშავებულია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2014 წლის 21 ივლისის №3-12 დადგენილებით დამტკიცებული დებულების თანახმად, სარევიზიო კომისიის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული სარევიზიო შემოწმებების შედეგად შედგენილი შემოწმება-ანალიზის დასკვნებზე დაყრდნობით.

2023 წლის სარევიზიო კომისიის სამუშაო გეგმა დამტკიცებულ იქნა 2023 წლის 27 იანვარს, რომელის თანახმადაც წლის განმავლობაში კომისია ახორციელებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების საფინანსო საქმიანობის შემოწმებას, დასკვნების შედგენას და რეკომენდაციების გაცემას. დამტკიცებული გეგმა მოიცავს 14 შესამოწმებელ ორგანიზაციას მათ შორის, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ების, ააიპ - ების და შპს - ების შემოწმებას შერჩევის მეთოდით.

სარევიზიო კომისია სარევიზიო შემოწმებას ახორციელებს სარევიზიო კომისიის სამდივნოს თანამშრომელთა მეშვეობით, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისსაკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის№2-1 დადგენილებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2014 წლის 21 ივლისის №3-12 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად. ასევე კონკრეტული შემოწმებიდან გამომდინარე, შესაბამის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე.

ჯგუფის წევრები შემოწმების წარმოებისას, გარდა სარევიზიო კომისიის დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილებებისა, ხელმძღვანელობენ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის დავალებით და მის საფუძველზე გაცემული შესამოწმებელი ობიექტის შემოწმების პროგრამით. ასევე, შესამოწმებელი ობიექტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინფორმაციით, რომლის სისრულეზე და სისწორეზე პასუხისმგებელია შესაბამისი შესამოწმებელი ობიექტი, ხოლო ჩატარებული შემოწმებისა და მის საფუძველზე შედგენილი შემოწმება-ანალიზის დასკვნის სისწორეზე პასუხისმგებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის შესაბამისი შემმოწმებელი ჯგუფი.

სარევიზიო შემოწმებისას შემოწმების პროცესი მიმდინარეობს ობიექტურად, მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად, მასალების ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე. შემოწმების დასრულების შემდგომ მასალები წარედგინება კომისიას განსახილველად.

შემოწმება-ანალიზის ყველა დასკვნა სარევიზიო კომისიის მიერ განიხილება სხდომაზე. (სხდომამდე შემოწმება-ანალიზის დასკვნა გასაცნობად ეგზავნებათ შემოწმებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც 7 დღის განმავლობაში უნდა წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებები-შენიშვნები დასკვნის ირგვლივ). სარევიზიო კომისიის სხდომაზე, ხმათა უმრავლესობით მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება დასკვნის შემდგომი რეაგირების თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში სარევიზიო კომისიის მიერ, დაგეგმილი სარევიზიო შემოწმებებიდან 5 (ხუთი) ორგანიზაციაში შემოწმება დასრულებულია, სადაც შემოწმების შედეგად სარევიზიო კომისიის სამდივნოს თანამშრომლების მიერ, შედგენილ იქნა შემოწმება-ანალიზის დასკვნები და შესაბამისად, შემოწმებული ორგანიზაციები კომისიის სხდომაზეც განხილულია. 3 (სამი) ორგანიზაცია განხილვის ეტაპზეა, ხოლო 4 (ოთხი) ორგანიზაციაში შემოწმება მიმდინარეობს.

შემოწმებული და დასრულებული 5 (ხუთი) ორგანიზაცია, კერძოდ:

1. ქალაქ თბილისის მერიის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის მიერ 2020 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება;
2. ააიპ „ეროვნული სკრინინგ-ცენტრი"-ს მიერ 2019 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება;
3. ქალაქ თბილისის არამ ხაჩატურიანის სახელობის №10 ხელოვნების სკოლის მიერ 2020 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება;
4. ააიპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფარის" მიერ 2020 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება;
5. ა(ა)იპ ქ.თბილისის №42-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ 2020 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება;

განხილვის ეტაპზე მყოფი 3 (სამი) ორგანიზაცია;

1. ვაკის რაიონის გამგეობის მიერ 2019 წლის 1 ივლისიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება;

2. გლდანის რაიონის გამგეობის მიერ 2019 წლის 1 ივლისიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება;

3. მთაწმინდის რაიონის გამგეობის მიერ 2019 წლის 1 ივლისიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება;

შემოწმება პროცესში მყოფი 4 (ოთხი) ორგანიზაციაში;

1. ააიპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ მიერ 2020 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება;

2. ააიპ „თბილისის ზოოლოგიური პარკი“-ს მიერ 2018 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება;

3. შპს ,,თბილსერვის ჯგუფი“-ს მიერ 2020 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება;

4. ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია“-ს მიერ 2020 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება;

ორგანიზაციების შემოწმებით დადგენილი იქნა შემდეგი:

ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზია

შემოწმებით დადგინდა:

შესყიდვები

2022 წლის 23 აგვისტოს ა(ა)იპ-ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიას და შ.პ.ს „საკანცელარიო თ.მ“-ს შორის გაფორმდა N5 ხელშეკრულება, (ხელშეკრულების ღირებულება შეადგენდა 367 ლარს), შესყიდვის საგანს წარმოადგენდა საწმენდი საპრიალებელი საშუალებების შეძენა.

„სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციები ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას ბაზრის კვლევის განხორციელებასთან დაკავშირებით“ დოკუმენტის მიხედვით, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა ყოველი კონკრეტული შესყიდვის განხორციელებამდე, კერძოდ, ყოველი ელექტრონული ტენდერის გამოცხადებამდე, უნდა განახორციელონ ბაზრის კვლევა სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი, ფულადი

სახსრების რაციონალური ხარჯვის, ჯანსაღი კონკურენციის განვითარების, შესყიდვის მონაწილეთა მიმართ პროპორციული და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფის მიზნით.

ხელოვნების გიმნაზიის მიერ აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების წინ ბაზრის კვლევა არ ჩატარებულა ვინაიდან წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ინვოისი.

ბაზრის კვლევა არ ჩატარებულა შ.პ.ს „მუსიკალური ფონდი"-თან 2022 წლის 13 სექტემბერს გაფორმებულ N6 ხელშეკრულების დროს, რადგან ხელოვნების გიმნაზიის მიერ საერთოდ ვერ იქნა ინვოისი წარმოდგენილი.

გამარტივებული შესყიდვის წესით, მომწოდებელ ორგანიზაციებთან გაფორმებული არცერთი მიღება-ჩაბარების აქტი არ არის ატვირთული სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში.

საქმისწარმოება

2020 წლის 29 სექტემბერს შრომის კოდექსმა არსებითი სახის ცვლილება განიცადა და მიღებულ იქნა ახალი შრომის კოდექსი. კოდექსის 23-ე მუხლის მეოთხე პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად: „დამსაქმებელი ვალდებულია მიიღოს ზომები დაწესებულებაში დასაქმებულთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები ასახოს შრომის შინაგანაწესისა და სხვა დოკუმენტებში და უზრუნველყოს მათი შესრულება", რაც ხელოვნების გიმნაზიის შინაგანაწესში არ არის ასახული.

წესდების მე-4 მუხლის მე-10 პუნქტის, „ზ" ქვეპუნქტისპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად ხელოვნების გიმნაზიის დირექტორის მიერ გამოცემულია ინდივიდუალურ სამართლებლივი აქტები - ბრძანებების სახით, რაც შეეხება ხელოვნების გიმნაზიაში მოსწავლეების ჩარიცხვის, გარიცხვის, პედაგოგის ცვლილების, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის, ხელოვნების სკოლის თანამშრომელთა დანიშვნის, გათავისუფლებისა და სხვა საკითხებს. ხელმოწერითაა დადასტურებული ხელოვნების სკოლის დირექტორსა და მოსწავლეთა მშობლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების, დოკუმენტაცია არ არის სრულყოფილი.

ა(ა)იპ-ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიაში შემოსული და გასული დოკუმენტები ცალ-ცალკე ფაილებსა და ბაინდერებშია განთავსებული. ყველა კორესპონდენცია რეგისტრირებულია სპეციალურად შექმნილ ზონარგაყრილ, დანომრილ და ბეჭედდასმულ ჟურნალებში, მაგრამ ჟურნალებში არ არის გრაფა კორესპონდენციის შემსრულებელ პირებზე გადაცემის, არ არის დირექტორის რეზოლუცია, არ არის შესრულების ვადის გრაფა, რაც არის საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივნისის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქმის წარმოების ერთიანი წესების" მოთხოვნა.

ხელოვნების გიმნაზიაში ცალკე გამოყოფილ ოთახშია თავმოყრილია დასრულებული მასალები, რომელიც საჭიროებს საარქივო დამუშავებას, რაც არის შინაგანაწესის 16.4. პუნქტის მოთხოვნა, ხელოვნების სკოლას „კანონმდებლობით დადგენილი წესით ევალება პერიოდულობით მოამზადოს საბუთები არქივში ჩასაბარებლად“.

ინვენტარიზაცია

შემმოწმებელი ჯგუფის მოთხოვნით 2023 წლის 22 თებერვალს ხელოვნების გიმნაზიის დირექტორის მიერ გამოიცა N1/11 ბრძანება სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციასთან დაკავშირებით, რის შემდგომაც დადგინდა, რომ ხელოვნების გიმნაზიის ბალანსზე რიცხულ ძირითადი საშუალებების გარკვეულ ნაწილს არ აქვს მინიჭებული საინვენტარიზაციო ნომერი, ასევე გიმნაზიის სარდაფშია თავმოყრილი სხვადასხვა სახის ჩამოსაწერი ინვენტარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უნდა მოხდეს ხელოვნების გიმნაზიაზე გადაცემული ძირითადი და სხვა ძვირადღირებული მატერიალური ფასეულობების საწყისი მდგომარეობის (თუ რა იქნა თავის დროზე გადაცემული და სხვა) აღდგენა, წლების განმავლობაში შეძენილი და ხელოვნების გიმნაზიის თანამშრომლების მიერ შენახვაზე შეტანილი მატერიალური ფასეულობების ცალ-ცალკე აღრიცხვა ინვენტარიზაცია, ასევე უნდა გაიმიჯნოს სახელმწიფოს და კერძო პირის საკუთრებაში არსებული მატერიალური ფასეულობები ერთმანეთისგან.

გასაცემი მოწმობები

ა(ა)იპ-ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის მიერ მოსწავლეებზე მოწმობების გაცემა უნდა მომხდარიყო დირექტორის ბრძანების საფუძველზე, ხელოვნების გიმნაზიაში აღნიშნული ბრძანებები ვერ იქნა მოძებული.

შემოწმების შედეგად ორგანიზაციაზე გაცემული იქნა რეკომენდაციები.

ააიპ „ეროვნული სკრინინგ-ცენტრი"

შემოწმებით დადგინდა:

1. ა.(ა).ი.პ „ეროვნული სკრინინგ-ცენტრი“-ს არცერთ ფილიალში არ წარმოებს, ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის წესი (ელექტრონული (ე.წ. ტურნიკეტი) ან ჟურნალის მეშვეობით აღრიცხვის წარმოება).

<u>სკრინინგ-ცენტრის განმარტებით, იგეგმება პერსონალის სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის მექანიზმის შემუშავება და შემოღება.</u>

2. ა.(ა).ი.პ „ეროვნული სკრინინგ-ცენტრი"-ს შინაგანაწესის მე-3 მუხლით, შესვენების დრო განსაზღვრულია 30 წუთით, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექსის V თავის (სამუშაოს დრო, შესვენების დრო და დასვენების დრო) 24-ე მუხლის მე-5 პუნქტს, რომლის მიხედვითაც შესვენების დრო დადგენილია არანაკლებ 1.00 საათის ოდენობით.

<u>სკრინინგ-ცენტრის განმარტებით, შენიშვნის გათვალისწინებით მზადდება შინაგანაწესში ცვლილების შეტანა.</u>

3. ა.(ა).ი.პ „ეროვნული სკრინინგ-ცენტრში" 2019წ. შემდგომ პერიოდში ინვენტარიზაციები არ ჩატარებულა, რაც წარმოადგენს დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების იდენტიფიცირებისა და კონტროლის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის უტყუარობის ქმედით მექანიზმს.

<u>სკრინინგ-ცენტრის განმარტებით, ინვენტარიზაციის ჩაუტარებლობა გამოწვეული იყო პანდემიით შექმნილი რთული ვითარების გამო და ჩატარდება უახლოეს მომავალში.</u>

4. სარევიზიო პერიოდში ა(ა)იპ სკრინინგ-ცენტრის მიერ არ წარმოებდა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და მომართვის სააგენტოში წარდგენის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ზემდგომთან - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, რითაც დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №13 დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი"-ს მე-6 მუხლის მოთხოვნები.

<u>სკრინინგ-ცენტრის განმარტებით, ხარვეზი გამოსწორებულია და შესაბამისი ინფორმაცია წარდგენილია ზემდგომთან.</u>

5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადების გაგრძელების შემთხვევებში მიმწოდებლის მიერ არაა წარმოდგენილი ავანსის უზრუნველყოფის ვადაგაგრძელებული გარანტიები, რითაც დარღვეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნები - გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდების ვადას (SPA180006795, SPA220000843).

<u>სკრინინგ-ცენტრის განმარტებით, აღნიშნული გამოწვეული იყო სკრინინგ-ცენტრის მიზეზით, ამიტომაც მომწოდებლისაგან არ მოითხოვებოდა ავანსის უზრუნველყოფის ვადაგაგრძელებული გარანტიები.</u>

6. რიგ შემთხვევებში სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებასთან ერთად სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ ველში არაა ატვირთული ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია (თუმცა კი აღნიშნული ინფორმაცია ფიზიკურად არსებობს პირველად დოკუმენტაციაში), რითაც დარღვეულია ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" 38-ე მუხლის მოთხოვნები, კერძოდ:

<u>სკრინინგ-ცენტრის განმარტებით, შენიშვნა უკვე გათვალისწინებულია და გამოსწორებული.</u>

7. გამოცხადებულ ელექტრონული ტენდერს SPA190000745 მინიჭებული აქვს სტატუსი „შეწყვეტილია“. შეწყვეტის მიზეზად დასახელებულია ა(ა)იპ „ეროვნული სკრინინგ-ცენტრის“ საჭიროებების ცვლილების გამო“- ოქმი N2, რომელიც დაუთარიღებელია. ოქმში არაა მითითებული კონკრეტულად, რომელ ფარმაცევტულ პროდუქციასთან მოხდა ცვლილება და არაა დასაბუთებული შეწყვეტის აუცილებლობა (ტენდერი უკვე ჩატარებული იყო და პრეტენდენტიც გამოვლენილი), რითაც დარღვეულია „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 12.4 მუხლის მოთხოვნა - „ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული, მათ შორის, უნდა განიმარტოს ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის მიზეზი და საფუძველი იმ კონკრეტულ გარემოებებსა და არგუმენტებზე მითითებით, რომლებმაც განაპირობა ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის აუცილებლობა. ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა აიტვირთოს სისტემაში“.

<u>სკრინინგ-ცენტრის განმარტებით, შენიშვნა გათვალისწინებული იქნება.</u>

8. გამარტივებული შესყიდვებისას მომწოდებლის შერჩევის მიზნით არ არის ინვოისები მოთხოვნილი რამოდენიმე პრეტენდენტისაგან, რაც ოპტიმალური მომწოდებლის შერჩევას დაადასტურებდა (რეკომენდაციები).

<u>სკრინინგ-ცენტრის განმარტებით, შენიშვნა გათვალისწინებული იქნება.</u>

შემოწმების შედეგად ორგანიზაციაზე გაცემული იქნა რეკომენდაციები.

ქალაქ თბილისის არამ ხაჩატურიანის სახელობის №10 ხელოვნების სკოლა

შემოწმებით დადგინდა:

შესყიდვები

1. 2020 წლის 1 თებერვალს ა(ა)იპ ქ. თბილისის ა. ხაჩატურიანის სახელობის N10 ხელოვნების სკოლას და ი/მ ასლან კოჩალიძეს შორის გაფორმდა N2 ხელშეკრულება, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ხელოვნების სკოლაში წყალგაყვანილობის შეკეთება და მონტაჟი, ხელოსნის (ა. კოჩალიძე) საკუთარი საჭირო მასალების გამოყენებით. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენდა 500 (ხუთასი) ლარს. აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ხელოვნების სკოლის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი დეფექტური აქტი, ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი ფორმა N2 შესრულებული სამუშაოს შესახებ.

2. ა(ა)იპ ქ. თბილისის ა. ხაჩატურიანის სახელობის N10 ხელოვნების სკოლას და შ.პ.ს „მუსიკალური ფონდი“-ს შორის 2022 წლის 23 სექტემბერს გაფორმებულია N8 ხელშეკრულება (ხელშეკრულების თანხა: 273,60 ლარი), რომლის საგანს წარმოადგენდა ხელოვნების სკოლისათვის სარეგისტრაციო ჟურნალების მოწოდება დანართი N1

შესაბამისად. აღნიშნული დანართი N1 სკოლის დირექციის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი, ასევე აღნიშნულ ხელშეკრულებაში არ არის მითითებული მიწოდების და ანგარიშსწორების ვადები.

3. მიწოდების და ანგარიშსწორების ვადები არ არის მითითებული მომწოდებლებთან გაფორმებულ 2 (ორი) შ.პ.ს „დენლჯორჯია 777"- სთან 2022 წლის 07 ივნისის N6 და 2022 წლის 29 ნოემბერს N10 გაფორმებულ ხელშეკრულებებში. (ხელშეკრულების საგანი: საკანცელარიო ნივთების შესყიდვა თანხით 610,40 ლარი და სამეურნეო საქონლის შესყიდვა თანხით 957,60).

4. ხელოვნების სკოლას ხელშეკრულებების გაფორმების წინ ბაზრის კვლევები არ აქვს ჩატარებული, ვერ იქნა მათ მიერ წარმოდგენილი ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტები (ინვოისები).

საქმისწარმოება

1. 2020 წლის 29 სექტემბერს შრომის კოდექსმა არსებითი სახის ცვლილება განიცადა და მიღებულ იქნა ახალი შრომის კოდექსი. კოდექსის 23-ე მუხლის მეოთხე პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად: „დამსაქმებელი ვალდებულია მიიღოს ზომები დაწესებულებაში დასაქმებულთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები ასახოს შრომის შინაგანაწესისა და სხვა დოკუმენტებში და უზრუნველყოს მათი შესრულება", რაც ხელოვნების სკოლის შინაგანაწესში არ არის ასახული, ასევეა კოდექსის მოთხოვნა ნორმირებული სამუშაო დროის ხანგრძლივობის კვირაში 40 საათის დაწესებასთან დაკავშირებით.

2. ა(ა)იპ ქ. თბილისის არამ ხაჩატურიანის სახელობის N10 ხელოვნების სკოლაში შემოსული და გასული დოკუმენტები ცალ-ცალკე ფაილებსა და ბაინდერებშია განთავსებული. ყველა კორესპონდენცია რეგისტრირებულია სპეციალურად შექმნილ ზონარგაყრილ, დანომრილ და ბეჭედდასმულ ჟურნალებში, მაგრამ ჟურნალებში არ არის გრაფა კორესპონდენციის შემსრულებელ პირებზე გადაცემის, არ არის დირექტორის რეზოლუცია, არ არის შესრულების ვადის გრაფა, რაც არის საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1ივნისის N414 წლის ბრძანებულებით დამტკიცებული „საქმის წარმოების ერთიანი წესების" მოთხოვნა.

3. ხელოვნების სკოლაში ცალკე გამოყოფილ ოთახშია წლების განმავლობაში თავმოყრილი და დასრულებული მასალები, რაც მოითხოვს საარქივო დამუშავებას, რაც არის შინაგანაწესის 16.4. პუნქტის მოთხოვნა სადაც მითითებულია, რომ ხელოვნების სკოლას „კანონმდებლობით დადგენილი წესით ევალება პერიოდულობით მოამზადოს საბუთები არქივში ჩასაბარებლად".

ინვენტარიზაცია

შემმოწმებელი ჯგუფის მოთხოვნით 2023 წლის 27 მარტს ხელოვნების სკოლის დირექტორის მიერ გამოიცა N3/12 ბრძანება სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციასთან დაკავშირებით, რის შემდგომაც დადგინდა, რომ ხელოვნების სკოლის ბალანსზე რიცხულ ძირითადი საშუალებების გარკვეულ ნაწილს არ აქვს მინიჭებული საინვენტარიზაციო ნომერი, ასევე სკოლის შენობაშია თავმოყრილი სხვადასხვა სახის ჩამოსაწერი ინვენტარი, მათ შორის სკოლის შენობის ფანჯრებიდან და ღობეებიდან მოხსნილი რკინის გისოსები. ასევე ვიზუალურად ვერ ირკვევა სკოლის ზუსტი ტერიტორია, რადგან ერთ მხარეს შემოღობვა არის მოხსნილი და გაერთიანებულია გვერდით მდებარე საცხოვრებელ სახლთან. საჭიროა, ზუსტად მოხდეს სკოლის ტერიტორიის საზღვრების დადგენა და გამიჯვნა სხვისი კუთვნილი ტერიტორიისგან.

გასაცემი მოწმობები

ა(ა)იპ ქ. თბილისის ა. ხაჩატურიანის სახელობის N10 ხელოვნების სკოლის მიერ მოსწავლეებზე მოწმობების გაცემა უნდა მომხდარიყო დირექტორის ბრძანების საფუძველზე, ხელოვნების სკოლაში აღნიშნული ბრძანებები ვერ იქნა მოძიებული.

შემოწმების შედეგად ორგანიზაციაზე გაცემული რეკომენდაციები:

ააიპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი“

შემოწმებით დადგინდა:

1.NAT200012022 - შ.პ.ს. ,,აილამა“-სთან მუნიციპალური თავშესაფარის მიერ 07.09.2020წ. გაფორმდა ხელშეკრულება Nელ.ტენ.04/20 თანხით 110 698.00 ლარი.

მხარეთა 11.11.2020წ. შეთანხმებით, სახელშეკრულებო ღირებულება დაკორექტირდა და განისაზღვრა 90 398.04 ლარით.

ამავე დღეს - 11.11.2020წ. შედგენილია მიღება-ჩაბარების აქტი 90 398.04 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულების თაობაზე, რასაც ადასტურებს ექსპერტიზის დასკვნა. მომწოდებელი ხელშეკრულების ვადაგადაცილების გამო დაჯარიმდა პირგასამტეხლო თანხით 316.40 ლარი.

შემდგომში უკვე, 2021წ. ზაფხულში გამოვლინდა შესრულებული სამუშაოს წუნი (წყალი ჩავიდა შენობაში და დააზიანა ინტერიერი), რისი აღმოფხვრის მოთხოვნით ,,თავშესაფარმა“ წერილობით მიმართა შემსრულებელს, თუმცა კი პრობლემა დღემდე არაა მოგვარებული.

ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალიური თავშესაფარი“-ს განმარტებით, აღნიშნული გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ აღნიშნული შენობა განიცდის ,,ჯდომას“, რის გამოც სახურავიდან მცირე რაოდენობით კვლავ ჟონავს წყალი და აქედან გამომდინარე,

პრობლემის არსებითად გადაწყვეტამდე არაა მიზანშეწონილი ინტერიერის სარემონტო სამუშაოებზე დამატებით ხარჯების გაწევა.

2.NAT210003248 - შ.პ.ს. ,,გამა"-სთან მუნიციპალური თავშესაფარის მიერ 15.03.2021წ. გაფორმდა ხელშეკრულება N ელ.ტენ.03/21 თანხით 4 303.46 ლარი დღგ-ს ჩათვლით. მიწოდების ვადა 31.12.2021წ. ჩათვლით.

მხარეთა მიერ 01.04.2021წ. შედგენილია მიღება-ჩაბარების აქტი 3 774.82 ლარის ღირებულების საქონლის მიღების თაობაზე, რასაც ადასტურებს ანგარიშ-ფაქტურაც N. ეა-72 2778756. თუმცა კი მომწოდებლისათვის გარდა ზემოაღნიშნული 3 774.82 ლარისა, 06.04.2021წ. გადარიცხულია კიდევ 528.64 ლარი, რომლის მიღება-ჩაბარების აქტი და საფუძველიც არაა ატვირთული, რითაც დარღვეულია ,,წესის" 38 მუხლის მოთხოვნები.

აღნიშნული დოკუმენტაცია ინახა ადგილზე, პირველად დოკუმენტებში. ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალიური თავშესაფარი"-ს განმარტებით აღნიშნული გამოწვეულია მექანიკური შეცდომით.

3.ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი", გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, მთელი შესამოწმებელი პერიოდის განმავლობაში, ყიდულობს მის საკუთრებაში არსებული მსუბუქი ავტომანქანების ავტო-ნაწილების, ზეთის შეცვლის, ავტომანქანების შეკეთების, რეცხვის და სხვა მომსახურებას. დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ რიგ შემთხვევებში (CMR220063183; CMR210082886; CMR200142445; CMR220163198; CMR220154657; CMR220170776.) გაფორმებულ ხელშეკრულებებსა და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაში (მიღება-ჩაბარების აქტი) არ ჩანს თუ, რომელ მანქანებს უნდა გაეწიოს ან/და გაეწია მომსახურება. მართალია ეს რეკვიზიტები დაფიქსირებულია ინვოისებში, მაგრამ საჭიროა შემსყიდველმა მომავალში ასეთი მომსახურების შესყიდვის დროს დააკონკრეტოს და ხელშეკრულებასა და შემდგომში, მიღება-ჩაბარების აქტში გაწერილ იქნას ავტომობილის მარკა და სახელმწიფო ნომერი.

ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალიური თავშესაფარი"-ს განმარტებით შენიშვნა მომავალში გათვალისწინებული იქნება.

4.რიგ შემთხვევებში გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებებში (CMR200019713, CMR200029670, CMR200029670 და სხვა) არაა გათვალისწინებული და გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები. ასევე ხელშეკრულებაში არაა გათვალისწინებული პირგასამტეხლო და საჯარიმო სანქციები.

შემმოწმებელთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება მნიშვნელოვანია და უფრო მეტიც, რეკომენდირებულია ყველა ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ იქნას მიღება-ჩაბარების წესი, რადგან აღნიშნული წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტს, სადაც უნდა იქნას გაწერილი მიწოდების თარიღი, საქონლის ჩამონათვალი და ღირებულება. ასევე, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში დეტალურად უნდა იქნას ხელშეკრულებაში გაწერილი ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გამოყენების საკითხი და პირგასამტეხლოს ოდენობა.

ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალიური თავშესაფარი“-ს განმარტებით შენიშვნა მომავალში გათვალისწინებული იქნება.

5.რიგ შემთხვევებში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას არაა ნაწარმოები ბაზრის სრულყოფილი შესწავლა-ანალიზი, რაც ოპტიმალური ღირებულებისა და მომწოდებლის შერჩევის წინაპირობაა.

ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალიური თავშესაფარი“-ს განმარტებით შენიშვნა მომავალში გათვალისწინებული იქნება.

შემოწმების შედეგად ორგანიზაციაზე გაცემული რეკომენდაციები.

ა(ა)იპ ქ.თბილისის №42-ე საბავშვო ბაგა-ბაღი

შემოწმებით დადგინდა:

საკონსულტაციო საბჭო

1.ა(ა)იპ თბილისის N42-ე ბაგა-ბაღის დირექტორის ბრძანებით უნდა შეიქმნას საკონსულტაციო საბჭო, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება შვიდი წევრით წესდების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა შეიქმნას და წარმოდგენილ იქნას საკონსულტაციო საბჭოს ფუნქციონირების შესაბამისი დოკუმენტაცია.

2. საკადრო დოკუმენტაცია

პირად საქმეებში დოკუმენტაცია იყო არასრულყოფილად, ზოგიერთი თანამშრომლის პირად საქმეში არ მოიპოვება სამსახურეობრივი წესდებით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაცია, კერძოდ : განცხადება სამსახურში მიღების შესახებ, ცნობა, ნარკოლოგიური აღრიცხვიანობის შესახებ, ცნობა ნასამართლეობის შესახებ.

სარევიზიო შემოწმების პერიოდში ზემოაღნიშნული ხარვეზები სრულად იქნა აღმოფხვრილი.

3.ინვენტარიზაცი

სარევიზიო შემოწმების პერიოდში ბაგა-ბაღში 2022 წლის ინვენტარიზაცია არ იყო ჩატარებული, რაზეც ჩვენი მოთხოვნის თანახმად, დირექტორის 28 აპრილის N01-/28/04/23-8 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა „საინვენტარიზაციო კომისია“ და 2023 წლის 03 მაისს ინვენტარიზაცია ჩატარდა. რითაც აისახა მატერიალური ფასეულობების საბოლოო შედეგები დღეის მდგომარეობით.

შემოწმების შედეგად ორგანიზაციაზე გაცემული რეკომენდაციები:

შემოწმებულ ორგანიზაციებზე, შემოწმება-ანალიზის დასკვნებიდან გამომდინარე, სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად გაცემულ იქნა რეკომენდაციები. შემოწმებული ორგანიზაციების შემოწმება-ანალიზის დასკვნები, ასევე კომისიის გადაწყვეტილებით, იგზავნება საჭიროების შემთხვევაში დამატებითი გამოკვლევისა და შესწავლის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურში.

სარევიზიო კომისიის მიერ განხორციელებული შემოწმებების და დასკვნების შედეგად აღმოჩენელი დარღვევები, ორგანიზაციების მიერ ხშირად არის გათვალისწინებული რეკომენდაციების სახით, რასაც ადასტურებს დასკვნებთან დაკავშირებით შემოწმებული ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი წერილობითი მოსაზრებები, რაც შემდგომში ისახებამათ საქმიანობაზე.

სარევიზიო კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში კომისიის 7 სხდომა იქნა ჩატარებული, სადაც განხილულია 22 საკითხი.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ლევან ჯაფარიძე